

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ანა იაკობიშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი:

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები



ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

მარინა მაისურაძე

თბილისი

2019

ანოტაცია

მრავალი საწარმო ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მთავარი მიზანი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის წარდგენა. აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებელთა ფართო წრეს ეხმარება, მიიღონ სხვადასხვა ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ეტაპების განსაზღვრა, განხილვა, წარმოდგენილი მაგალითის საფუძველზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაბამისობის ჩვენება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. ნაშრომში პრაქტიკული მაგალითით განხილულია თუ როგორ ახდენს ქართულ ბაზარზე მოქმედი იურიდიული პირი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას.

ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი ეხება უშუალოდ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ეტაპების, მეთოდების და კომპონენტების, ელემენტების განხილვას, გვაწვდის ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგების წარდგენის არსსა და მიზანზე, ინფორმაციის მომხმარებლებზე და სხვა. მეორე ნაწილში პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე ნაჩვენებია საქართველოში ფუნქციონირებადი საწარმოს მიერ 2015 და 2016 წლის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება. მისი შედგენის მეთოდები, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მომავალი შესაძლებლობების განსაზღვრა.

Annotation

Lots of companies around the world prepare and report their financial statements. The main reason of this reporting is to make information about company's financial position, results from financial activity and cash flows publicly available. This information helps wide range of costumers make variety of economic decisions.

The aim of this thesis is to determine stages of preparing and reporting financial statements, to discuss it, and to show the correspondence of preparing and reporting of company's financial statements to the IFRS based on an example. With the help of an example we will see how legal entity operating on Georgian market prepares and reports its financial statements.

The thesis below consists of two parts. The first part deals with stages, methods and components of preparing and reporting financial statements, discusses its elements as well as provides information about aim and essence of reporting financial statements, users of this information etc. In the second part, based on an example, the financial statement of years 2015 and 2016 of company operating in Georgia is presented. As well as methods used to prepare it, general assessment and determining future opportunities.

შინაარსი

შესავალი	5
თავი I ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების ტექნიკა.....	8
1.1 ფინანსური ანგარიშგება მისი არსი, მიზანი, ძირითადი დაშვებები	8
1.2 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები	13
1.3. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება	22
1.4 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები.....	28
თავი II ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა	39
2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	39
2.2 მოგება–ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	53
2.3 საკუთრი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	63
2.4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	65
2.5 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	68
დასკვნა	82
გამოყენებული ლიტერატურა	86

შესავალი

არსებულ ეკონომიკურ გარემოში, ბაზრის მონაწილეები, სხვადასხვა სიდიდის ფირმები, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოები პერიოდულად ამზადებენ და წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას. აწვდიან ინფორმაციას მომხმარებელთა ფართო წრეებს, რომლებსაც არ გააჩნიათ იმის უფლებამოსილება, რომ საწარმოს მოსთხოვონ მათ სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება. ფინანსური ანგარიშგება ყველა ქვეყანაში განსხვავებულია ადგილობრივი კანონმდებლობის, ბუღალტრული თუ ფინანსური აღრიცხვის წესების ინდივიდუალურობიდან გამომდინარე. ამ განსხვავებულმა ფაქტორებმა გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებების მრავალფეროვნება და ფინანსური ანგარიშგების მუხლების ასახვისა და შეფასების დროს განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენება. ბაზრის მონაწილეები დაინტერესებულნი არიან, მიიღონ სრული და გამჭვირვალე ინფორმაცია ბაზრის სხვა მონაწილეების ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორმაცია განაპირობებს კომპანიებს შორის მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებს, ან პირიქით, იწვევს პარტნიორობის შეწყვეტას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტად რისკიანი ხდება კომპანიების საქმიანობა, რადგან ბაზარი მაღალი კონკურენციით ხასიათდება. კონკურენტული გარემო აიძულებს ფირმებს შეიმუშაონ საქმიანობის წარმართვისთვის უფრო ეფექტიანი გზები, გამოავლინონ საწარმოში არსებული ფარული რეზერვები, შეაფასონ ხარჯები და მოახდინონ მისაღები შემოსავლების პროგნოზირება, გააანალიზონ რა ახდენს მათ საქმიანობაზე უარყოფით გავლენას, რაში იხარჯება ყველაზე მეტი ფულადი და არაფულადი სახსრები და როგორ შეიძლება რესურსების დაზოგვა ან არსებული დანახარჯებით მეტი ამონაგების მიღება. რამდენად ღირს არსებული თავისუფალი ხასხრების ამა თუ იმ პროექტში ინვესტირება. არის თუ არა ამა თუ იმ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა იმის მაჩვენებელი, რომ შეძლებს მოცემული საწარმო ბაზარზე გრძელვადიან ფუნქციონირებას და არ იქნება კაპიტალის დანაკარგის მაღალი რისკის მატარებელი.

ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი, მომხმარებლები, ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, ხარისხობრივი მახასიათებლები, მომზადების, აღიარების, შეფასების და სხვა საკითხები. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია. ბევრ ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა არის სავალდებულო კაპიტალის ბაზრებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოში 2016 წელს გამოცემული კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ ყველა საწარმოს ავალდებულებს, რომ მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი. საწარმოს წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სისწორეზე. სწორად შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია სწორად განისაზღვროს და დაიგეგმოს მომავალი პერიოდის ბიუჯეტი, რაც, თავის მხრივ, მოიცავს მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი ხარჯების ოდენობას. საწარმოს მმართველი ხელმძღვანელობის მიერ მიიღება სტრატეგიული გადაწყვეტილებები, გარე მომხმარებლების მიერ კი საწარმოს დაფინანსებასთან და გრძელვადიან თანამშრომლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. ფინანსური ანგარიშგება საწარმოს საქმიანობის შეფასებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სხვა ყველა ზემოთაღნიშნულთან ერთად გამოავლენს საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების ფარულ რეზერვებს. ის მოიცავს ინფორმაციას ანგარიშვალდებულ საწარმოში რესურსების, საწარმოს მიმართ არსებული მოთხოვნებისა და ამ რესურსებსა და მოთხოვნებში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იყოს შედგენილი ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ნაშრომში კვლევის ობიექტს წარმოადგენს შ.პ.ს. „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის

პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით. ანგარიშგება მოცემულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. საწარმო დაფუძნებულია საქართველოში, ქალაქ თბილისში 2014 წლის მაისში. პირველი ჰიპერმარკეტი გახსნა 2015 წლის 23 მაისს სავაჭრო ცენტრ „ისტ ფონთის“ ტერიტორიაზე. შ.პ.ს. „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ ბაზარზე ფუნქციონირებს „დომინოს“ სავაჭრო ნიშნის ქვეშ და საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო-სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობა. შ.პ.ს. „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ არის სააქციო ჯგუფის წევრი, რომელიც საქართველოში პოზიციონირებს, როგორც რეგიონის ყველაზე მასშტაბური DIY ფორმატის ჰიპერმარკეტი და მომხმარებელს სთავაზობს 60 000 მდე დასახელების საქონელს.

პრაქტიკული მაგალითის განხილვით შეფასებულია ანგარიშგების მთლიანი სტრუქტურა, შინაარსი და წარმოდგენის ფორმა. ნაჩვენებია, რა გადახრები და უზუსტობები შეიძლება არსებობდეს ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას ქართულ რეალობაში და რა რეკომენდაციები შეიძლება გაეწიოს საწარმოს ამ უზუსტობების აღმოსაფხვრელად.

თავი I ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების ტექნიკა

1.1 ფინანსური ანგარიშგება მისი არსი, მიზანი, ძირითადი დაშვებები

ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების შესახებ სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯების, მოგება– ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის და სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ის არის საიმედო საშუალება, რომლითაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ აამაღლონ მმართველობითი გადაწყვეტილების ხარისხი. ანალიტიკური ინფორმაციის გამოყენება იძლევა საშუალებას, დროულად გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ნაკლოვანებები ფინანსურ და ოპერაციულ საქმიანობაში და აგრეთვე მოიძებნოს საქმიანობის გაუმჯობესების ფარული რეზერვები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნები განსხვავდება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლის მიხედვით, რომლებსაც დაწვრილებით ოდნავ მოგვიანებით განვიხილავთ.

ფინანსური ანგარიშგების მიზნები მთლიანობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- ✓ წინასწარი შემოწმების ინსტრუმენტი ინვესტირების მიმართულების შერჩევისას ან კიდევ საწარმოთა შერწყმის შესაძლო ვარიანტის განხილვისას;
- ✓ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება;
- ✓ ბიზნეს რისკის შეფასება;
- ✓ მომავალი ფინანსური გეგმების და შესაძლო შედეგების შეფასება;
- ✓ საწარმოს მართვის ეფექტიანობის შეფასება;

- ✓ საწარმოს მენეჯმენტის მუშაობის შეფასება;
- ✓ პოტენციური ინვესტორების მოზიდვა;

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი თავის მხრივ მოიცავს:

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისთვის;
- ✓ პერიოდის მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება პერიოდის დასასრულისთვის;
- ✓ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
- ✓ პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- ✓ განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ არის განხილული ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;
- ✓ წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას;
- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც საწარმო იყენებს იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს, როდესაც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკას.

მრავალი საწარმო ფინანსური ანგარიშგების გარდა დამატებით წარადგენს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას, რომელშიც აღწერილი და ახსნილია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ძირითადი საკითხები და ის განუსაზღვრელობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საწარმოს საქმიანობის პროცესში. ასეთ მიმოხილვაში აისახება:

- ✓ ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები, მათ შორის საწარმოს საქმიანობის გარემო პირობებში მომხდარი ცვლილებები, საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე და მათი შედეგები. ინვესტიციების შენარჩუნებისა და ეფექტიანობის ამაღლების პოლიტიკა, დივიდენდების პოლიტიკის ჩათვლით.
- ✓ საწარმოს დაფინანსების წყაროები და ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის სასურველი კოეფიციენტი.

- ✓ საწარმოს რესურსები რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონცეპტუალურ საფუძვლებში ერთმანეთისაგან გამოყოფილია ფინანსური ანგარიშგების მიზანი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია ინფორმაციის მომხმარებლებს (ინვესტორები, კრედიტორები, თანამშრომლები და საზოგადოება) მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ, რომელიც გამოადგება მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანი არის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების ფუნდამენტი. ანგარიშვალდებული საწარმოს ცნება, ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, მათი აღიარება, შეფასება, წარდგენა და ინფორმაციის გახსნა განმარტებით შენიშვნებში - ლოგიკურად გამომდინარეობს კონცეპტუალური საფუძვლების მიზნიდან.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ანგარიშვალდებულ საწარმოში რესურსების, საწარმოს მიმართ არსებული მოთხოვნებისა და ამ რესურსებსა და საწარმოს მიმართ მოთხოვნებში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანია, მის მომხმარებლებს (პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები და კრედიტორები) მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის, მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვას, გაყიდვას ან დატოვებას და ასევე სესხების გაცემას ან დაფარვას და დაკრედიტების სხვა ფორმებს.

მაშასადამე, ფინანსური ანგარიშგების მიზანსა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანს შორის განსხვავება მდგომარეობს მომხმარებლების სპექტრში. როგორც მოცემული განმარტებებიდან ჩანს, ფინანსური ანგარიშგების მიზანი ყველა ტიპის მომხმარებლის ინფორმაციით უზრუნველყოფაა. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი კი მხოლოდ ძირითადი მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნებზეა ორიენტირებული. თუმცა, ძირითადი მომხმარებლების მიმართაც მითითებულია, რომ საწარმოები უმრავლეს შემთხვევაში გამოყოფილია მისი მესაკუთრეებისაგან. ფინანსურ ანგარიშგებაში ეს დაყოფა წარმოდგენილი უნდა იყოს

საწარმოს პოზიციიდან და არა მისი ძირითადი მომხმარებლებისა და ანგარიშვალდებულ საწარმოსთან მიმართებით მათი ინტერესების გათვალისწინებით.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლებს მსგავსი მიზნები აქვთ, მიუხედავად საწარმოს ტიპისა, რომელშიც დებენ ინვესტიციებს, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი ყველა საწარმოსათვის ერთი და იგივეა. თუმცა, დანახარჯების შემზღვეველი ფაქტორისა და საწარმოთა განსხვავებული საქმიანობის არსებობის გამო, ზოგჯერ შესაძლებელია საჭირო გახდეს განსხვავებული ანგარიშგების წარდგენა განსხვავებული ტიპის საწარმოებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანი განიხილება ისე როგორც კაპიტალის ბაზარზე ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება, ქვეყნის ან რეგიონის ფინანსური ან ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა. ამიტომ, ფინანსური ანგარიშგება მიმართული უნდა იყოს მარეგულირებელი ორგანოებისა და ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმღებთა მოთხოვნილებებზე, რომელთაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაზე. ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მიუკერძოებელი იყოს.

ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება შემდეგ დაშვებებს:

- ფუნქციონირებადი საწარმო და საქმიანობის უწყვეტობა
- არსებობა და აგრეირება
- ურთიერთგადაფარვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას ან თავისი საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს უახლოეს საპროგნოზო მომავალში გადაწყვეტილი აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან მნიშვნელოვნად შეკვეცა, ფინანსური ანგარიშგებაში შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს და იგი განსხვავებული წესით მომზადდეს. ფინანსური ანგარიშგება ძირითადად ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საწარმოს სამეურნეო საქმიანობა უწყვეტია, რეალურ დროში მიმდინარეობს და მომავალიც განსაზღვრადია. აქტივების შეფასება ხდება საქმიანობის უწყვეტობის დაშვებიდან გამომდინარე და არ გაითვალისწინება აქტივების იძულებით გაყიდვის სიტუაცია, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია შეამციროს აქტივების გასაყიდი ღირებულება.

არსებითობასა და აგრერირებაში იგულისხმება, რომ ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. ის მუხლები რომელიც არაარსებითია უნდა გაერთიანდეს შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით.

არ შეიძლება აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა. ცალ_ცალკე უნდა იყოს წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები.

დარიცხვის მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია. ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდი ნიშნავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი მოხდენისას, და არა იმის მიხედვით, თუ როდის ჰქონდა ადგილი თანხის ფაქტიურ მიღებას ან გადახდას. ესე იგი, დარიცხვის მეთოდი გულისხმობს, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას მათი წარმოქმნის მომენტის მიხედვით. ისინი ბუღალტრულ აღრიცხვაში რეგისტრირდება და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც რეალურად განეკუთვნება. ოპერაციებისა და სხვა მოვლენების გავლენა გაითვალისწინება მათი მოხდენის მომენტში და არა ფულადი სახსრების მიღების ან გადახდის დროს. დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანაღდებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც. მაშასადამე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ, რომელიც სჭირდებათ მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

1.2 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები

2014 წელს მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ახლებური კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც დაყოფა ხდება შემდეგი სახით:

- ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები;
- ფინანსური ანგარიშგების დანარჩენი მომხმარებლები.

ფინანსური ანგარიშგების ძირითად მომხმარებლებში იგულისხმება ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები, რომელთა საინფორმაციო მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება.

დანარჩენი მომხმარებლები არიან საწარმოს მმართველობა და საზოგადოება.

ფასს კონცეპტუალური საფუძვლებით აღიარებულია, რომ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია ძირითად მომხმარებლებზე, რადგან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე და გადაუდებელი მოთხოვნილებები აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით და ბევრ მათგანს არ შეუძლია, საწარმოს მოსთხოვოს უშუალოდ მათ მიაწოდონ ეს ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაცია, რომელიც პასუხობს ზემოლნიშნულ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს ისეთ საწარმოებშიც, რომელთაც გააჩნიათ ნებისმიერი ტიპის კორპორატიული მართვის მოდელი.

არსებული და პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უკუგებას მოელიან ისინი ფინანსურ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციიდან. მაგალითად დივიდენდები და პროცენტები.

ინვესტიციებიდან უკუგების მიღების პერსპექტივის შეფასებისათვის, მათ უნდა შეისწავლონ საწარმოში ფულადი ნაკადების შემოსულობების ოდენობა და მათი მიღების ვადები. ხოლო, იმისათვის რომ შეაფასონ საწარმოს პერსპექტივა მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების პოზიციიდან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ესაჭიროებათ ინფორმაცია საწარმოს რესურსების და მასზე მოთხოვნების შესახებ. აგრეთვე, როგორ შეასრულა საწარმოს ხელმძღვანელობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

საწარმოს შესახებ ფინანსური ინფორმაცია აინტერესებს საწარმოს ხელმძღვანელობასაც. თუმცა, ამ უკანასკნელს, არა აქვს იმის აუცილებლობა, რომ დაეყრდნოს საერთო დანიშნულების ანგარიშგებას, რადგან საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ინფორმაციის შიდა წყაროების გამოყენებაც. ძირითად მომხმარებლებზე ორიენტირებული ზოგიერთი ინფორმაცია სავარაუდოდ უპასუხებს ხელმძღვანელობის მოთხოვნილებებსაც, თუმცა ყველას არა. მეორე მხრივ, ხელმძღვანელობას შეუძლია იმ დამატებითი ფინანსური ინფორმაციის მოპოვება, რაც დაჭირდებათ. ამდენად, აუცლებელი არაა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებული იყოს უშუალოდ ხელმძღვანელობაზე.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია ასევე შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს საკანონმდებლო მარეგულირებელი ორგანოებისა და საზოგადოების სხვა წევრებისათვის, თუმცა ანგარიშგება მათზე არაა ორიენტირებული.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია ძირითად მომხმარებლებზე რომლებსაც, როგორც უკვე აღინიშნა, მიეკუთვნება არსებული და პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები და არა სხვა პოტენციურ მომხმარებლებზე, რომლებშიც შედიან მთავრობები და საზოგადოება, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ ფინანსური ანგარიშგებით, მაგრამ ანგარიშგება მათზე ორიენტირებული არაა. საჭიროა დადგენილ იქნეს „ძირითადი მომხმარებლების ჯგუფი“, რადგან თუ არ დადგინდებოდა ინფორმაციის „ძირითადი მომხმარებლების

ჯგუფი“, მაშინ წარმოიქმნება რისკი ფინანსური ანგარიშგების ბუნდოვნების და აბსტრაქტულობისა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ფენების გაზრდით ფინანსური ანგარიშგება გადაიტვირთება მრავალი ინფორმაციით. სხვადასხვა მომხმარებელს შეიძლება სხვადასხვა საინფორმაციო მოთხოვნები გააჩნდეს, მაგრამ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომხმარებლებს აწვდის საერთო ინფორმაციას და ვერ დააკმაყოფილებს ნებისმიერ საინფორმაციო მოთხოვნებს.

აღიარებულია, რომ ინვესტორების, გამსესხებლებისა და კრედიტორების ინტერესები ხშირად ემთხვევა მარეგულირებლების ინტერესებს. მეორე მხრივ, ანგარიშგების მიზნის იმგვარად გაფართოება, რომ ითვალისწინებდეს ფინანსური სტაბილურობის შეარჩუნებასაც, შეიძლება ზოგჯერ კონფლიქტი წამოშვას მიზნებს შორის, მაგალითად, ზოგიერთმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ფინანსური სტაბილურობისათვის უკეთესი იქნება საწარმომ არ წარადგინოს ან დააყოვნოს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები. შესაბამისად და სამართლიანად წარდგენილმა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციამ შეიძლება აამაღლოს მომხმარებელთა ნდობა ინფორმაციის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ფინანსურ სტაბილურობას.

სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები ადგენს ინფორმაციის ისეთ სახეებს, რომელიც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად სასარგებლოა არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორებისათვის, ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად მათ ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

კონცეპტუალურ საფუძვლებში, ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები დაყოფილია ორ ჯგუფად:

- I. ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები:
 1. შესაბამისობა

2. სამართლიანი წარდგენა
- II. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას:
1. შესადარისობა
 2. შემოწმებადობა
 3. დროულობა
 4. აღქმადობა

ინფორმაციის შესაბამისობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე. ინფორმაციას იმ შემთხვევაშიც შეუძლია გავლენის მოხდენა თუ კი ზოგი მომხმარებელი გადაწყვეტს არ გამოიყენოს ის, ან კიდევ უკვე იცის მის შესახებ სხვა წყაროებიდან. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ინფორმაციის შესაბამისობა თუ ის არის საპროგნოზო ინფორმაცია ან დამადასტურებელი ინფორმაცია.

ინფორმაციის არსებითობა ნიშნავს რომ ინფორმაცია არსებითია თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ „შესაბამისობის“ ცნების შინაარსი ამჯერად არ ნიშნავს იმას, რაც ადრე იყო, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის მოთხოვნებს და მაშასადამე, უნდა იყოს არსებითი. არსებითობა განიხილებოდა როგორც ინფორმაციის შესაბამისობის ასპექტი. ამჯერად იგი აღარ განიხილება, ვინაიდან ინფორმაციის არსებითობა კონკრეტული საწარმოს სპეციფიკური ასპექტია მისი ხასიათიდან და სიდიდიდან გამომდინარე. ძალიან რთულია არსებითობისათვის დადგინდეს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი, ან წინასწარ განსაზღვროს, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში.

ახალი თვალსაზრისით, ინფორმაციის შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი.

შესაბამისი ინფორმაცია გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე, თუმცა ინფორმაციას მაშინაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, თუ მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ იგი არ გამოიყენოს. ამიტომ, აღნიშნულია, რომ შესაბამისია ინფორმაცია, თუ მას გააჩნია საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისება, ან ორივე ერთად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას გავლენა მოახდინოს

მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე. ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება (ღირებულება), თუ მისი გამოყენება შეიძლება ამოსავალ ბაზად მომავალი შედეგების პროგნოზირებისათვის. ამისათვის აუცილებელი არაა ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს პროგნოზის სახით.

შესაბამის ინფორმაციას აგრეთვე გააჩნია შესადარისობის თვისებაც, თუ ის უზრუნველყოფს ადრე გაკეთებული შეფასებების დადასტურებას. ინფორმაციას შეიძლება ერთდროულად გააჩნდეს საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისება. მაგალითად, ამონაგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი პროგნოზისათვის და ასევე შეიძლება შედარებულ იქნეს მიმდინარე წლის პროგნოზთან, რომელიც გამოთვლილი იყო წინა წელს. ამ შედარების შედეგები მომხმარებელს ეხმარება იმ მეთოდების გაუმჯობესებაში, რომელიც გამოყენებული იყო წინა წლების პროგნოზების გამოსათვლელად. აქედან გამომდინარე აღარაა აუცილებელი, შესადარისობის ძირითად მახასიათებლად გამოყოფა.

ინფორმაციის **სამართლიან** წარდგენაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ინფორმაცია რომ იყოს სასარგებლო მან არა მხოლოდ წარმოდგენა უნდა შეგვიქმნას ეკონომიკური მოვლენების შესახებ არამედ უზრუნველყოს ამ ეკონომიკური მოვლენის რეალური წარმოდგენა, მისი დანიშნულებისამებრ ასახვისათვის. ეკონომიკური მოვლენის ობიექტურად გამოსახვა, მოიცავს იმ ძირითად მახასიათებებს, რომლებიც წინა სტრუქტურულ საფუძვლებში მიჩნეული იყო საიმედოობის ასპექტებად. ამიტომ, მან ჩაანაცვლა ტერმინი საიმედოობა. სამართლიანი წარდგენა ნიშნავს, რომ ფინანსური ინფორმაცია ასახავს ეკონომიკური მოვლენის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. ფინანსური ანგარიშგება, ეკონომიკური მოვლენების შესახებ, წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და ციფრების მეშვეობით. ეს ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, იგი სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს ამ ინფორმაციას. სამართლიანი წარდგენა არა სამართლებრივ ფორმებს, არამედ ეკონომიკურ შინაარსს გულისხმობს.

სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს:

- ✓ სრული;
- ✓ ნეიტრალური;
- ✓ უშეცდომო.

ინფორმაციის სისრულე მოიცავს თავის თავში იმ ყველა ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელს სჭირდება, რომ დეტალურად აღიქვას ეკონომიკური მოვლენის შესახებ ინფორმაცია. სრულყოფილება გულისხმობს ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ნათელ წარმოდგენას შექმნის საწარმოს ეკონომიკური მოვლენების შესახებ;

ინფორმაციის ნეიტრალურობა გულისხმობს, რომ ინფორმაცია ასახულია მიუკერძოებლად და რაიმე წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისი არ უდევს საფუძვლად და არ იხრება რომელიმე კონკრეტული მხარისკენ, რომელსაც შეუძლია აზრის მანიპულირება ან ყურადღების გაფანტვა. ნეიტრალური ასახვა გულისხმობს ინფორმაციის წარდგენას ტენდენციურობის გარეშე. იგი არ უნდა იყოს რაიმე წინასწარ განზრახული თვალსაზრისით მომზადებული;

ინფორმაციის უშეცდომობა არ ნიშნავს აბსოლუტურ სიზუსტეს ყველა მხრივ. შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული იყოს მიახლოებითი სიზუსტით გარკვეული ციფრები, რომლებიც არ ჩაითვლება შეცდომად, რადგან მათი ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია ან არ არის არსებითად მნიშვნელოვანი. სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს რომ ანგარიშგებაში არ არსებობს შეცდომები ან არაფერი არაა გამოტოვებული. მაგრამ, ობიექტურად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

სასარგებლო ინფორმაცია უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე სამართლიანად წარმოდგენილი ანუ ობიექტური. მომხმარებლებს გადაწყვეტილებების მიღებაში ვერ დაეხმარება ვერც სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია შეუსაბამო ეკონომიკური მოვლენების შესახებ და ვერც არასამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების შესახებ.

ინფორმაციის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

- ✓ დადგინდება ისეთი ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშგების მომხმარებლებისათვის;

- ✓ განისაზღვრება ამ ეკონომიკური მოვლენის შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი და შესაძლებელი იქნებოდა მისი სამართლიანი წარდგენა;
- ✓ დადგინდება, არსებობს თუ არა ეს ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი სამართლიანად წარდგენა

ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფს, რომელიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, მიეკუთვნება: შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა.

ინფორმაციის **შედარებითობაზე** საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მომხმარებელი აკეთებს არჩევანს, მაგალითად მოახდინოს ინვესტირება მოცემულ საწარმოში, თუ აირჩიოს მეორე ორგანიზაციის დაფინანსება. რომელი საწარმო უფრო მეტ სარგებელს მოუტანს და ასე შემდეგ. გადაწყვეტილება მიიღება ორი ორგანიზაციის მონაცემების შედარების საფუძველზე. შედარებითობა აძლევს ინფორმაციის მომხმარებელს საშუალებას გამოავლინოს და აღიქვას მსგავსება და განსხვავებები ობიექტებს შორის. შესაძლებელია ერთმანეთს შეუდარდეს სხვადასხვა კომპანიების ერთი და იგივე მონაცემი, ან ერთი საწარმოს კონკრეტული მონაცემი სხვადასხვა დროით პერიოდებში. გადაწყვეტილებების მიღება, რამდენიმე ალტერნატივიდან არჩევანის გაკეთებასთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით, უფრო სასარგებლოა, თუ საწარმოს ინფორმაციის შედარება შესაძლებელია სხვა საწარმოს ანალოგიურ ინფორმაციასთან. პოტენციური ინვესტორებისათვის სასარგებლოა სხვადასხვა საწარმოების მაჩვენებლების შედარება, რათა გადაწყვიტოს, რომელ საწარმოში უფრო მომგებიანია ინვესტიციის ჩადება.

შესადარისობა ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც განსხვავებულ ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენისა და გააზრების საშუალებას იძლევა. შედარებისათვის აუცილებელია ორი მუხლის არსებობა. სხვადასხვა საწარმოების ინფორმაციის შესადარისობა მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთო

მეთოდების გამოყენებით. შესადარისობის ხარისხი ეცემა, როცა ბუღალტრული აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდებია ნებადართული.

საბოლოო ჯამში შესადარისობა ნიშნავს სხვადასხვა საწარმოს მიერ ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას .

ინფორმაციის **შემოწმებადობა** საშუალებას აძლევს ინფორმაციის მომხმარებელს დარწმუნდეს მონაცემების სისწორეში. ინფორმაციის შემოწმება შეიძლება მოხდეს პირდაპირი ან ირიბი გზით. პირდაპირი გზით შემოწმება გულისხმობს მონაცემების გადამოწმებას უშუალო დაკვირვების და გადათვლის გზით. ირიბი ანუ არაპირდაპირი შემოწმება არის ფორმულების და მოდელების დამოუკიდებლად გაანგარიშება. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის მთლიანად შემოწმება შეუძლებელია რადგან გარკვეული ტიპის მონაცემების შემოწმება მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი, ესეთია მაგალითად პროგნოზული ინფორმაცია. ინფორმაციის შემოწმებადობა ეხმარება მომხმარებელს, დარწმუნდეს, რომ ინფორმაცია სამართლიანადაა წარდგენილი. მაგალითად, ფულადი თანხების დათვლა. მომხმარებელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რომლის შემოწმება შესაძლებელია. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია ენდოს ასეთ ინფორმაციას, რომ მასში არ არის არსებითი შეცდომები და მიკერძოება. აღსანიშნავია, რომ შემოწმებადობის ცნების, როგორც სამართლიანი წარდგენის ერთ-ერთი ასპექტის გათვალისწინება, გამოიწვევს იმ ინფორმაციის გამოთიშვას, რომელიც არ ექვემდებარება შემოწმებას ან სრულყოფილი შემოწმება შეუძლებელია. როგორცაა მაგალითად მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება. ამიტომ მოხდა შემოწმებადობის ახლებურად განსაზღვრა, როგორც ხარისხობრივი მახასიათებელი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას, მეტად სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი.

ინფორმაციის **თავისდროულობა** ნიშნავს რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე აქვთ იმ დროს როდესაც მას შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა გადაწყვეტილებაზე. როგორც წესი, ინფორმაციის სარგებლიანობა მცირდება დროის პერიოდის ზრდასთან ერთად. მიუხედავად ამისა ინფორმაციის გარკვეული ტიპი შეიძლება არ მოძველდეს ანგარიშგების შემდგომ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, ისინი შეიძლება იყოს აქტიურად გამოყენებადი ტენდენციების შესწავლისას. აღსანიშნავია, რომ დროულობა არ არის შესაბამისობის თვისება იმავე მნიშვნელობით, როგორც საპროგნოზო და დამადასტურებელი ღირებულებები. დროული ინფორმაცია სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისია და სამართლიანად წარდგენილი. ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დროულად არ არის წარდგენილი. განსაკუთრებით დამადასტურებელი მიზნებისათვის ან ტენდენციების შესწავლისათვის.

აღქმადობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია იყოს ადვილად გასაგები. ეს მოითხოვს კლასიფიცირებას, სისტემატიზაციას, ნათლად და ლაკონურად ინფორმაციის წარმოდგენას. ფინანსური ანგარიშები მზადდება ისეთი მომხმარებლებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფორმაციის ანალიზის უნარი. მხოლოდ მარტივი ინფორმაციის წარდგენა ანგარიშგებას არასრულყოფილს გახდის, რომელმაც მისი მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს. თუ აღქმადობა ფინანსური ინფორმაციის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელი იქნებოდა, მაშინ ანგარიშგებაში წარდგენილი ვერ იქნებოდა ზოგიერთი რთული, მაგრამ აუცილებელი ინფორმაცია. ამის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება აღარ იქნება შესაბამისი. აღქმადობა ნიშნავს, რომ რთული ეკონომიკური მოვლენები მაქსიმალურად გასაგებად იქნას წარმოდგენილი. ამასთან, კონცეპტუალურ საფუძვლებში ხაზგასმულია, რომ ინფორმაციის მომხმარებლები პასუხისმგებელნი არიან ჰქონდეთ აუცილებელი ცოდნა და გულდასმით შეისწავლონ წარდგენილი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში კი კონსულტანტები გამოიყენონ.

1.3. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ელემენტები არის აქტივები ვალდებულებები და კაპიტალი. ისინი განიმარტება შემდეგნაირად:

- აქტივი არის რესურსი, რომელიც კონტროლირებადია საწარმოს მიერ, რომელიც წარმოქმნილია წარსულში მომხდარი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად და მიღებულია ეკონომიკური სარგებლის სახით. ის შეიძლება გავყიდოთ ან გამოვიყენოთ საქონლის წარმოებისას და საბოლოო ჯამში აქტივი კონვერტირდება ფულად საშუალებად. აქტივები აწარმოებენ საქონელს ან მომსახურებას და აქვთ უნარი დააკმაყოფილონ მომხმარებლის მოთხოვნილებები.

არსებობს მნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება აქტივების შექმნასა და ხარჯების გაწევას შორის, მაგრამ არ არის სავალდებულო ეს ორი პარამეტრი ერთმანეთს დაემთხვეს. როდესაც საწარმო გასწევს დანახარჯებს, ის მიისწრაფვის მიიღოს ეკონომიკური სარგებელი.

- ვალდებულებები არის ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ვალდებულებები წარმოიქმნება შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულების დადებისას, და სახელმწიფოს წინაშე, რომლის მოთხოვნილებები კანონმდებლობითაა დადგენილი. ვალდებულებას მიეკუთვნება კრედიტორული დავალიანება მოწოდებლების მიმართ მოწოდებული საქონლის ან მომსახურების ღირებულებით.

ვალდებულებები როგორც წესი წარმოიშვება მხოლოდ აქტივების მოწოდების დროს, ან უწყვეტი ხელშეკრულების დადების დროს აქტივების შექმნის შესახებ. ხელშეკრულების უწყვეტობა ნიშნავს, რომ საწარმო იღებს გადახდის ვალდებულებას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გულისხმობს:

- ✓ ფულად ანგარიშსწორებას;
- ✓ სხვა აქტივების გადაცემას(იგულისხმება მათ შორის ბარტერული ოპერაციებიც);
- ✓ მომსახურების გაწევა;
- ✓ მოცემული ვალდებულების შეცვლა სხვა ვალდებულებით;
- ✓ ვალდებულების გადატანა კაპიტალში.

ვალდებულებების შეიძლება შეწყდეს სხვა საშუალებებითაც, მაგალითად კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან ასეთი უფლებების ჩამორთმევის შემთხვევაში.

ვალდებულებების წარმოქმნის საფუძველი წარსულში მომხდარი ოპერაციებია.

- სააქციო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტებისგან:
 - ✓ აქციონერების შენატანი
 - ✓ გაუნაწილებელი მოგება
 - ✓ გადაფასების რეზერვი (წარმოიქმნება აქტივების გადაფასების შედეგად)

ზოგჯერ სარეზერვო კაპიტალის შექმნას ითხოვს სახელმწიფოს კანონმდებლობა იმისთვის რომ საწარმო იყოს უზრუნველყოფილი ფინანსურად და მისი კრედიტორების წინაშე საიმედოდ დაცული შესაძლო ზარალისგან. ასევე შეუძლიათ სარეზერვო კაპიტალის ფორმირებაც. კაპიტალის სიდიდე, რომელიც ასახულია ბუღალტრულ ბალანსში დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. როგორც წესი კაპიტალის სიდიდე არ ემთხვევა აქციების ჯამურ საბაზრო ღირებულებას, ან თანხას რომელსაც საწარმო მიიღებდა აქტივების ნაწილ ნაწილ გაყიდვის შედეგად, ან მთლიანობაში გაყიდვით საქმიანობის უწყვეტობის პირობებში. კომერციული საწარმოო და სავაჭრო საქმიანობა ხორციელდება ისეთ ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების სახით როგორცაა: ინდივიდუალური საწარმო, ამხანაგობა, სააქციო

საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სხვა. საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზეა დამოკიდებული კაპიტალის ფორმირებაც.

აქტივის აღიარება გულისხმობს სიტყვიერ აღწერას და ფულად გამოსახულებაში ჩვენებას. აქტივი, რომელიც პასუხობს დადგენილ კრიტერიუმებს გავლენას ახდენს ბუღალტრულ ბალანსზე და მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

აქტივი რომ იყოს აღიარებული:

- ✓ საწარმო უნდა მოელოდეს აქტივისგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
- ✓ აქტივს უნდა ჰქოდეს ღირებულება, რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელი იქნება.

მნიშვნელოვანია საწარმოს ხელმძღვანელობამ განსაზღვროს მომავალი შემოსავლების მიღების ან ხარჯების გაწევის ალბათობა, რომელიც დაკავშირებულია განუსაზღვრელობის დონესთან. ეკონომიკური სარგებლის შემოდინების დონე ფასდება ფინანსური ანგარიშგებისას შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

მაგალითად თუ კი დებიტორული დავალიანებების დაფარვა რეალურია, მაშინ გამართლებულია დებიტორული დავალიანების ასახვა აქტივად. როდესაც დებიტორული დავალიანება მნიშვნელოვნად იზრდება, მისი გარკვეული ნაწილი შეიძლება არ იქნეს დაფარული, შესაბამისად საჭიროა სავარაუდო გასავლების აღიარება, რომელიც შეამცირებს ეკონომიკურ სარგებელს.

აქტივად აღიარების მეორე კრიტერიული როგორც აღინიშნა არის შეფასების საიმედოობა. აქ იგულისმება რომ აქტივის მუხლი უნდა გამოიხატებოდეს ღირებულებით ფორმაში, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, მაშინ მისი ასახვა ბუღალტრულ ბალანსში არ ხდება. (არც მოგება ზარალის ანგარიშგებაში.)

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გარკვეული შემოსავლების მიღება, მაგრამ თუ სააღრიცხვო პერიოდში შეუძლებელია მათი ღირებულების განსაზღვრა ან მომავალი შემოსავლების შეფასება იქნება არასაიმედო,

მაშინ ის არ აღიარდება როგორც აქტივი ან როგორც შემოსავალი და მის შესახებ მიეთითება განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემოსავლებმა, რომლებიც მოცემულ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მომავალში შესაძლოა მომავალში დააკმაყოფილონ აღნიშნული კრიტერიუმები და მით უფრო საჭიროა იყოს განხილული განმარტებით შენიშვნებში. ეს უფრო მეტად გონივრულია მაშინ, როდესაც აქტივის მუხლს შეუძლია გახდეს სასარგებლო საწარმოს ფინანსური მდგომარეობისთვის.

ვალდებულება აღიარდება, როდესაც განსაზღვრულია რესურსების გადინება ვალდებულებების დასაფარად და ამ რესურსების ღირებულება საიმედოდაა შეფასებული.

შემოსავლები ითვლება მიღებულად, როდესაც ეკონომიკური სარგებელი იზრდება აქტივების ზრდის ფორმით ან ვალდებულებების შემცირების ფორმით და როდესაც ასეთი ზრდის სიდიდე შეფასებულია საიმედოობის მაღალი დონით. შემოსავლების აღიარება ხდება აქტივების ზრდის თანადოულად, ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ან ვალდებულებების შემცირება, ვთქვათ, ვალის პატიების ფონზე.

ხარჯები აღიარდება ეკონომიკური სარგებელის შემცირებისას, რომელიც გამოხატულია აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით. აქაც როგორც წინა პუნქტებში ხარჯები უნდა იყოს საიმედოდ შეფასებული. ხარჯების აღიარება ხდება ვალდებულებების ზრდის აღიარების პარალელურად, ან აქტივების შემცირებისას, რისი მაგალითიცაა გასაცემი ხელფასის რაოდენობის ზრდა, ან მოწყობილებების ამორტიზაციის ზრდა. ხარჯები პირდაპირკავშირშია გაწეულ დანახარჯებთან და მიღებულ შემოსავლებთან. ხარჯების სხვადასხვა კომპონენტების ასახვა როგორცაა მაგალითად, თვითღირებულება გაყიდული საქონლის, აისახება მაშინვე, როგორც კი აისახება შემოსავლები რეალიზებული საქონლიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებელი ჩნდება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი შემოსავლები და გასავლები შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ გრძელვადიან გეგმაში, გასავლების ასახვა

ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში სისტემატურად შესაბამის პერიოდში. გასავლების ასეთი აღრიცხვის მიდგომა გამოიყენება ისეთ აქტივებთან დამოკიდებულებაში როგორცაა ძირითადი საშუალებები, გუდვილი, პატენტი და სავაჭრო ნიშანი. მსგავს დანახარჯებს უწოდებენ ამორტიზირებად დანახარჯებს, რომლის გამოყენების შედეგადაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ის დანახარჯები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან გაწვევისთანავე აღიარდებიან პერიოდის ხარჯად და აისახებიან მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

არსებობს შეფასების რამდენიმე განსხვავებული მეთოდი, მაგრამ არ გამოირიცხება რამოდენიმე მეთოდის კომბინირებული გამოყენებაც.

1. პირვანდელი ღირებულება_ეს არის შეფასება ამა თუ იმ აღრიცხვის ობიექტის ფულადი სახსრების ფაქტობრივი რაოდენობის საფუძველზე, მათ ექვივალენტებზე,მის მფლობელობაში მისაღებად გადახდილ თანხებზე მათ შორის სატრანსპორტო და სხვა დანახარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია ამ ოპერაციასთან, ან როდესაც ხდება საკუთარი სახსრებით ამ ობიექტის წარმოება.
2. მიმდინარე ღირებულება_ აქტივები აღრიცხებიან მიმდინარე ღირებულებით, ანუ იმ ფასად რა ფასადაც გაიყიდებიან ბაზარზე მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები განიხილებიან იმ არადისკონტირებული თანხით, რომელიც საჭიროა მიმდინარე პერიოდში ვალდებულებების დასაფარად.
3. რეალიზებადი ღირებულება_ ფულადი სახსრების ოდენობა, რომელიც შეიძლება მივიღოთ გაყიდვისას, ან რომელიც უნდა იყოს გადახდილი ფინანსური ინსტრუმენტის ან სხვა აქტივის შემენისას ან გაყიდვისას.
4. დღევანდელი ღირებულება_ იგივე მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, წარმოადგენს მოცემული აქტივის გამოყენებით ფულადი სახსრების წმინდა მომავალი შემოსავლის ოდენობას. ვალდებულებები ფასდება ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც

იქნება საჭირო ვალდებულებების დასაფარად ნორმალური სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

1.4 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტებია:

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი);
- ✓ მოგება/ზარალის ანგარიშგება;
- ✓ ფულადი ნაკადების მოძრაობა;
- ✓ ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ;
- ✓ განმარტებითი შენიშვნები და კომენტარები.

განვიხილოთ თითოეული:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ობიექტები, რომლებიც უშუალოდ და პირდაპირ არის წარმოდგენილი ბალანსში უნდა იყვნენ კლასიფიცირებულნი, როგორც ძირითადი და საბრუნავი აქტივები და აგრეთვე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები. ბუღალტრული ბალანსის შედგენა ხდება ასე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბალანსის სტრუქტურის წარმოდგენა ლიკვიდურობის საფუძველზე უფრო მეტად შესაბამისია. იმ შემთხვევაში როდესაც გამოიყენება ეს გამონაკლისი ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა წარმოვადგინოთ ლიკვიდურობის შემცირების მიხედვით. აქტივებისა და ვალდებულებების ყოველ მუხლში გაერთიანებული თანხები, რომლებიც გაითვალისწინება ვალდებულებების დასაფარად ან შემოსავლების მისაღებად, უნდა გამოიყოს იმ ნაწილებად რომლებიც:

- ✓ ბუღალტრული ბალანსის შედგენიდან თორმეტი თვის განმავლობაში იფარება;
- ✓ ბუღალტრული ბალანსის შედგენიდან თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში იფარება.

საწარმო ვალდებულია წარადგინოს ინფორმაცია გამოყოფილად თანხებზე, რომელთა გადინების ან შემოდინებს პერიოდი აღემატება თორმეტ თვეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო იღებს საქონელს, ან მომსახურებას ზუსტად ინდენტიფიცირებული ოპერაციული ციკლის ჩარჩოებში, სასარგებლოა განცალკევებულად წარმოვადგინოთ საბრუნავი და არასაბრუნავი აქტივების შესახებ ინფორმაცია. ამის საშუალებით გამოიყოფა იმ აქტივების რიცხვი, რომლებიც გამოიყენება უწყვეტად საბრუნავ კაპიტალში და ის აქტივები, რომლებიც გრძელვადიანი გამოყენებისთვისაა გათვლილი.

გარდა ამისა, ასეთი კლასიფიკაციისას გამოიყოფა აქტივები, რომელთა კონვერტირებაც უნდა მოხდეს ფულად სახსრებში მიმდინარე ოპერაციული ციკლისას და ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ამავე პერიოდში. ინფორმირება აქტივების ფულად სახსრებში გადაქცევის პერიოდის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები მოიცავს როგორც სავაჭრო, ისე სხვა დებიტორულ დავალიანებასაც და ვალდებულებები თავის მხრივ კრედიტორულ დავალიანებებს მომწოდებლების მიმართ და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

საწარმო აქვეყნებს ინფორმაციას იმ მარაგების შესახებაც, რომლებიც გასაყიდად გამიზნულია ანგარიშგებიდან ერთი წლის განმავლობაში.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც საბრუნავი, თუ ის აკმაყოფილებს ნებისმიერ ქვემოთჩამოთვლილ კრიტერიუმს:

1. აქტივი იქნება კონვერტირებული ფულად სახსრებში ან განკუთვნილია გასაყიდად, ან შიდა მოხმარებისთვის ჩვეულებრივი ოპერაციული ციკლის პერიოდში;
2. აქტივი გათვალისწინებულია სავაჭრო მიზნებისთვის;
3. ითვლება რომ აქტივი წარმოადგენს ფულად საშუალებას ან მის ექვივალენტს, თუ მის გადაცვლაზე არ არის დაწესებული შეზღუდვები

მინიმუმ ბუღალტრული ბალანსის შედგენიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

ძირითად აქტივებს მიეკუთვნება ყველა დანარჩენი აქტივი რომელიც არ შედის ზემოთაღნიშნულ ჩამონათვალში.

ტერმინ ძირითად აქტივს ფასს მოიაზრებს როგორც მატერიალურ, არამატერიალურ და გრძელვადიან ფინანსურ აქტივებს, ამასთან არ ზღუდავს სხვა ტერმინოლოგიის გამოყენებას ფორმულირებისთვის.

ვალდებულებები უნდა იქნეს კლასიფიცირებული როგორც მოკლევადიანი თუ აკმაყოფილებს ქვემოთჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- ✓ დავალიანება დაიფარება მიმდინარე ოპერაციული ციკლისას;
- ✓ წარმოქმნილი დავალიანება წარმოშობილია ძირითადად სავაჭრო მიზნებისთვის;
- ✓ მისი დაფარვის ვადა ერთ წელს არ აღემატება;
- ✓ საწარმოს არ აქვს უფლება გადადოს მიმდინარე დავალიანების გადახდა ერთ წელზე მეტი პერიოდით.

ყველა დანარჩენი დავალიანება უნდა იქნეს კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

ზოგი მოკლევადიანი დავალიანება როგორცაა მომწოდებელთან კრედიტორული დავალიანება, სახელფასო და სხვა საოპერაციო ვალდებულებები წარმოადგენენ საბრუნავი კაპიტალის ნაწილს, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ფარგლებში. ესეთი შემთხვევები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი დავალიანება იმ შემთხვევაშიც კი თუ მათი დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს.

აქვე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ლიკვიდურობის დონეებიც.

აქტივები ლიკვიდურობის მიხედვით შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. ყველაზე ლიკვიდური აქტივები_მათ მიეკუთვნებათ საწარმოს ფულადი სახსრები და მისი ექვივლენტები და მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები.
2. სწრაფად რეალიზებადი აქტივები_ აქტივები, რომელთა ფულად გადაქცევის დრო მცირე პერიოდს მოიცავს. ესეთია მაგალითად დებიტორული დავალიანებები რომლებიც უნდა დაიფაროს მიმდინარე 12 თვეში. ამ ჯგუფის აქტივების ლიკვიდურობა დამოკიდებულია მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებაზე, მაგალითად როგორცაა ბანკებში საგადახდო დოკუმენტების დამუშავების სისწრაფე და სხვა.
3. ნელა რეალიზებადი აქტივები, რომლებსაც მიეკუთვნებათ შედარებით ნაკლებლიკვიდური აქტივები როგორცაა მაგალითად გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები,
4. რთულად რეალიზებადი აქტივები, რომელშიც შედის ძირითადი აქტივები, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები და სხვა. ეს აქტივები განკუთვნილია სამეურნეო საქმიანობისთვის გრძელვადიანი პერიოდით.

მოგება–ზარალის ანგარიშგება

მოგება ზარალის ანგარიშგება არის საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების ცხრილური წარმოდგენა განსაზღვრული პერიოდისთვის. მოგება ზარალის ანგარიშგებაში ნაჩვენებია გაყიდული საქონლის თვითღირებულება, კომერციული და მმართველობითი დანახარჯები, წარმოების დანახარჯები, სხვა შემოსავლები და გასავლები და ასე შემდეგ. ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ან ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

მოგება–ზარალის ანგარიშგება შედგება იმ მაჩვენებლებისგან რომლებიც ჯამურად გვაძლევენ მთლიან ფინანსურ შედეგს_სუფთა მოგებას ან ზარალს. საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლებია შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, კომერციული და ადმინისტრაციული დანახარჯები_ყველაფერი ეს

გავძლევს ფინანსურ შედეგს საქონლის რეალიზაციიდან, მოგებას ან ზარალს. შემდეგ მოდის სხვა შემოსავლებისა და გასავლების მაჩვენებლები, რომლებსაც მიეკუთვნებათ მაგალითად საპროცენტო დანახარჯები და შემოსავლები, ამ მაჩვენებლების საფუძველზე გაიანგარიშება მოგება დაბეგვრამდე, ხოლო მასშემდეგ რაც გამოყოფენ მოგების და სხვა გადასახადებს ვიღებთ საბოლოო შედეგს, მოგებას ან ზარალს მოცემულ პერიოდში.

თუ კი ბუღალრტული ბალანსი გვიჩვენებს რა ქონებას ფლობს საწარმო, მოგება ზარალი გვიჩვენებს საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და გამოიყენება მისი მუშაობის ეფექტიანობის შეფასებაში. მოგება ზარალის ანგარიშგებას დეტალურად შეისწავლიან ინვესტორები, ბანკები, პარტნიორები და სხვა.

მოგება გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის შეფასებისთვის ან სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისთვის. როგორცაა მაგალითად საწარმოს რენტაბელობა, მოგება ერთ აქციაზე და სხვა. მოგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ელემენტები არის შემოსავლები და ხარჯები

- ✓ შემოსავალი არის ეკონომიკური სარგებელის გაზრდა აქტივების გაზრდის ან ვალდებულებების შემცირების ხარჯზე, რის შედეგადაც ხდება კაპიტალის ზრდა მფლობელთა დამატებითი შენატანების გაუთვალისწინებლად.
- ✓ ხარჯები არის ეკონომიკური სარგებელის შემცირება აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის ხარჯზე, რაც ამცირებს კაპიტალს მის მფლობელთა შორის განაწილების გაუთვალისწინებლად.

გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციის წარდგენის მიზნით შემოსავლები და ხარჯები შესაძლებელია აისახოს შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშში სხვადასხვა ხერხით. პრაქტიკაში გავრცელდა შემოსავლების და გასავლების პუნქტების განცალკევებული წარდგენა რომელიც ჩამოყალიბდა ჩვეულებრივი ანუ ძირითადი და სხვა საქმიანობის პროცესში. ასეთი გაყოფა ხორციელდება საწარმოს შესაძლებლობების ანალიზის მიზნით თუ რამდენად შეუძლია შექმნას მომავალი ფულადი საშუალებები.

საქმიანობის შემთხვევითი სახეობები მაგალითად გრძელვადიანი ინვესტიციების ლიკვიდაცია არ ხორციელდება რეგულარულად. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საწარმოს საქმიანობის სპეციფიკა. პუნქტები რომლებიც წარმოიშვებიან ერთი საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შესაძლებელია არ იყოს დამახასიათებელი სხვა საწარმოსთვის. შემოსავლებისა და გასავლების პუნქტების აგრეგაცია და დეაგრეგაცია სხვადასხვა საშუალებით ასევე იძლევა შესაძლებლობას აისახოს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების შედეგები. მაგალითად: ანგარიში შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ შესაძლებელია გვიჩვენებდეს მოგებას დაბეგვრამდე, მოგებას დაბეგვრის შემდეგ, წმინდა მოგებას.

შემოსავლებს განეკუთვნება ამონაგები და სხვა შემოსავლები. ამონაგები წარმოიშვება საწარმოს ძირითადი საქმიანობის შედეგად და მოიცავს:

- ✓ გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს;
- ✓ გაწეული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს;
- ✓ საპროცენტო შემოსავალს;
- ✓ დივიდენდებს;
- ✓ როიალტს;
- ✓ იჯარიდან მიღებულ შემოსავალს.

სხვა შემოსავლებს განეკუთვნება ის სხვა პუნქტებიც რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. სხვა შემოსავლები დაკავშირებულია ეკონომიკური სარგებლის გაზრდასთან და თავისი ბუნებით არ განსხვავდება ამონაგებისაგან. კერძოდ სხვა შემოსავლებს განეკუთვნება შემოსავლები რომლებიც წარმოიშვება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან განცალკევებით და დამოუკიდებლად. შემოსავლის განსაზღვრებას ექვემდებარება ასევე არარეალიზებული სხვა შემოსავლები ანუ ისინი, რომლებიც წარმოიშვება მაგალითად კვოტირებული ფასიანი ქაღალდების გადაფასებისას, ასევე ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულების გადიდებისას. შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშში სხვა შემოსავლები აისახება განცალკევებულად რადგანაც ინფორმაცია მათ შესახებ მნიშვნელოვანია,

როდესაც გადაწყვეტილებას იღებენ კომპანიების შერწყმის ან დაყოფის შესახებ, კიდევ ერთი ფილიალის გახსნის შესახებ და სხვა. შემოსავლები შესაძლებელია მიიღებოდეს სხვადასხვა სახის აქტივების გაერთიანების შედეგად: ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანებები და საქონელი (მომსახურება) რომლებიც მიიღება მიწოდებული საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი ასევე მიიღება ვალდებულებების შესრულების პროცესში მაგალითად როდესაც საწარმო აწვდის საქონელს და მომსახურებას კრედიტორს ვალის დაფარვის სანაცვლოდ.

ზარალი

ზარალზე საუბრისას უნდა განვასხვავოთ დანაკარგები და გასავლები, რომლებიც წარმოიშვება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

გასავლებში, რომლებიც წარმოიშვება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შედის გაყიდული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება, სახელფასო ხარჯები და სხვა. გასავლები ამცირებენ აქტივებს, მაგალითად როგორცაა ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები.

დანაკარგები აჩვენებენ გარკვეულ გასავლებს და შესაძლებელია დანაკარგებს ადგილი ჰქონდეს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესშიც. დანაკარგები ამცირებენ საწარმოს ეკონომიკურ სარგებელს და თავის ბუნებთ არ განსხვავდებიან სხვა სახის გასავლებისაგან. დანაკარგებში შედის სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალიც, როგორცაა მაგალითად წყალდიდობით, ან ხანძრით მიყენებული ზარალი. დანაკარგებში ითვლება აგრეთვე ის დანაკარგები რომელიც არ უკავშირდება რეალიზაციას, ასეთია მაგალითად ვალუტის კურსის ზრდა და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრები არის აქტივები, გამოხატული ფულად ერთეულებში როგორცაა, ნაღდი ფული სალაროში, ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე ან დებიტორული დავალიანება. ფულადი სახსრების ექვივალენტებად მოიაზრებიან

მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები, რომლებიც შეიძლება თავისუფლად გადაიცვალოს წინასწარ ცნობილ თანხის ოდენობაში და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი ნაკადების მართვა - ფინანსური მენეჯერის საქმიანობის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია. საქმიანობის ეს მიმართულება მოიცავს:

- ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვას;
- ფულადი ნაკადების ანალიზს;
- ნაღდი ფულის რეზერვის განსაზღვრას ნორმალური გადახდისუნარიანობის შენარჩუნებისათვის;
- მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზს სხვადასხვა პერიოდისთვის.
- დანახარჯების ბიუჯეტირებას.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან:

- ✓ ფულადი სახსრების შემოღინება გაღინება მიმდინარე ოპერაციების შედეგად, საწარმოს ძირითადი საქმიანობის ფარგლებში
- ✓ ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო ოპერაციების შედეგად;
- ✓ ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური ოპერაციების შედეგად, სადაც იგულისხმება როგორც ინვესტორების დაბანდებები, ისე სასესხო საშუალებები.

საოპერაციო საქმიანობას მოაქვს გარკვეული შემოსავლები და განსაზღვრული დანახარჯები ორგანიზაციისთვის. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფულადი სახსრების მიღება საქონლის რეალიზაციიდან, ან გაწეული მომსახურებიდან, ფულის გაღინება დასაქმებულთათვის ხელფასის გადახდით, მომწოდებლებისთვის დავალიანების დაფარვით, საგადასახადო დავალიანებების დაფარვა და სხვა.

საინვესტიციო საქმიანობას მიეკუთვნება შეძენა და გაყიდვა ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და სხვა ძირითადი აქტივების, აგრეთვე

ფულადი სახსრები რომელიც შემოსული ან გასულია ფიუჩერსული და ფორვარდული კონტრაქტების, ოფციონების საფუძველზე.

ფინანსური ოპერაციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ დივიდენდების გადახდა აქციონერებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენის ორ მეთოდს გვთავაზობს:

1. პირდაპირი მეთოდი, რომლის დროსაც წარედგინება ფულადი სახსრების მთლიანი შემოსვლა და გასვლა.

2. არაპირდაპირი მეთოდი, რომლის დროსაც წმინდა მოგების ან ზარალის სიდიდე საანგარიშგებო პერიოდისთვის კორექტირდება იმ არაფულადი ოპერაციებით, რომლებიც გამოწვეულია წარსულში მომხდარი ან მომავალი საოპერაციო შემოსავლების ან გასავლების შედეგად, ან საწარმოს ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობის შედეგად.

პირველი მეთოდის გამოყენება რეკომენდირებულია საწარმოო სექტორში, ხოლო მეორე მეთოდი საბანკო საფინანსო სფეროში.

ფულადი სახსრების ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს აძლევს საშუალებას გაიგოს საქმიანობის რა სახეები იწვევს ფულადი საშუალებების გადინებას და რა შედეგი შეიძლება მივიღოთ თუ მოცემულ საქმიანობას დავაფინანსებთ.

ფულადი სახსრების შემოდინება ხორციელდება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურებების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების; აქციათა დამატებითი ემისიებიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის; მიღებული კრედიტების, სესხების; კორპორაციული ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული სახსრების; საკრედიტო დავალიანების ზრდისა და ა.შ. ხარჯზე.

ფულადი სახსრების გადინება არის შედეგი შემდეგი ოპერაციებისა: ვალდებულებების დაფარვის, საინვესტიციო ხარჯების, ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში გადახდების; საწარმოს აქციონერებისთვის დივიდენდების გაცემის შედეგად და სხვა.

მიმდინარე საქმიანობით შექმნილი ფულადი ნაკადები ხშირად გადადიან საინვესტიციო საქმიანობის სფეროში, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების განვითარებაზე.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება გვაჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალის გავლენას საკუთარ კაპიტალზე, სააღრიცხვო პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებების გავლენას, მფლობელების მიერ ინვესტირებული სახსრების ოდენობას, დივიდენდების და სხვა გადასახდელების ოდენობას, რომელიც გადახდილია სააღრიცხვო პერიოდში და სხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ კაპიტალი არის ყველა გადასახადის და ვალდებულები დაფარვის შემდეგ დარჩენილი წილი აქტივებში.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში უნდა იყოს ნაჩვენები:

- საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, სადაც ცალკე იქნება გამოყოფილი მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხები;
- საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების შედეგები, ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები.
- საკუთარი კაპიტალის ყველა კომპონენტისთვის უნდა იქნეს შეჯერებული წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს საბალანსო ღირებულებები, რითაც გამოჩნდება მცირე ცვლილებებიც კი. ეს ცვლილებები თავის მხრივ შეიძლება გამოწვეული იყოს:
 1. მოგება–ზარალის ცვლილებით;
 2. სხვა სრული შემოსავლების ცვლილებით

3. მესაკუთრეების შენატანებით, მათზე განხორციელებული განაწილებებით და შვილობილ საწარმოებში საკუთრების წილის ცვლილებებით.

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ საკუთარი კაპიტალის კომპონენტებში იგულისხმება საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ტიპის შენატანი, სხვა სრული შემოსავლის მთლიან დაგროვილ ნაშთს და გაუნაწილებელ მოგებას

განმარტებითი შენიშვნები – ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ინფორმაცია საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის მაგრამ შეუძლია მოახდინოს გავლენა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე, ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად.

განმარტებითი შენიშვნები უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი თანმიმდევრობით:

- აღნიშვნა, რომ ანგარიშგება მომზადებულია ფასს_ების შესაბამისად;
- სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა;
- დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მოგება ზარალის ანგარიშგებაში, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.
- სხვა განმარტებები, მათ შორის პირობითი და აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები და არაფინანსური შინაარსის განმარტებები.

თავი II ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შ.პ.ს. „ტერმინალ ვესტ თრეიდიგის“ მაგალითზე მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 და 2016 წლის მდგომარეობით. ნაჩვენებია თითოეული წლისთვის რა ღირებულების აქტივებს ფლობს საწარმო და რა ღირებულების ვალდებულებები გააჩნია, რამდენია კაპიტალი და როგორ შეიცვალა 2015 წლიდან 2016 წლის 31 დეკემბრისთვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ცხრილი N 1				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD'000
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2 212	2 204	836	920
არამატერიალური აქტივები	136	149	51	62
მომავალში გასაწევი საგადასახადო ვალდებულებები	–	812	–	339
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 348	3 165	887	1 322
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7 729	5 477	2 920	2 287
სხვა მიმდინარე აქტივები	9	–	3	–

მოგების გადასახადი	–	47	–	20
გადახდილი ავანსები	440	1 178	166	492
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	452	212	171	89
ფული და ფულის ექვივალენტები	940	484	355	202
სულ მიმდინარე აქტივები	9 570	7 398	3 616	3 089
სულ აქტივები	11 918	10 563	4 503	4 411
პარტნიორთა კაპიტალი და ვალდებულებები				
პარტნიორთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	2 658	261	1 150	150
დაგროვილი ზარალი	(8 148)	(4 905)	(3 582)	(2 212)
რეზერვი უცხოური ვალუტისთვის	–	–	357	122
სულ აქციონერთა კაპიტალი	(5 490)	(4 644)	(2 074)	(1 939)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13 298	12 910	5 024	5 391
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13 298	12 910	5 024	5 391
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	493	82	186	34
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები	3 441	2 137	1 300	892
საგადასახადო დავალიანება	176	–	66	–
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	–	78	–	33
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4 110	2 297	1 553	959
სულ ვალდებულებები	17 408	15 207	6 577	6 350
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	11 918	10 563	4 503	4 410

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით . უმნიშვნელო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. ამგვარი ნიშნის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ალდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმაღლესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ალდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში მოცემული წლისთვის. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას, ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში მათი თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მოხმარების ვადის დასასრულისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს, ნებიმიერი სახის ცვლილების განხორციელებით იმ შეფასებაში, რომელიც გათვლილი იქნება სავარაუდო საფუძველზე.

შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ცხრილი N 2

<u>ძირითადი საშუალებების კატეგორია</u>	<u>წლები</u>
მანქანა-დანადგარები	1-10
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	1-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს.

რაც შეეხება არამატერიალურ აქტივებს, ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გამოკლებით. კომპანია არამატერიალურ აქტივს ჩამოწერს რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური

აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების ღირებულებებს, რომ გამოავლინოს ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები. ასეთი მაჩვენებლების არსებობის შემთხვევაში აქტივის ამოღებადი ღირებულება ფასდება იმისთვის რომ გაუფასურების ხარჯის განვსაზღვროთ. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, საწარმო განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები აგრეთვე ნაწილდება ფულადი სახსრების გამომუშავებელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია. აქვე სასურველია განვმარტოთ რას ვგულისხმობთ აღდგენით ღირებულებაში. აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი ერთი მხრივ რეალურ ღირებულებისა და გაყიდვების ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადამდე დისკონტირება გადასახადამდე არსებული დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისთვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აისახება მოგება ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი

გადატანილია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯი დამუშავდება გადაფასების კლების სახით. თუ გაუფასურების ხარჯის გაუქმება ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენითი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა წინა წლებში აქტივის გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო.

ორგანიზაციის ძირითადი საშუალებები შედგება მანქანა დანადგარებისგან, ავეჯისა და საოფისე მოწყობილობებისგან, აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებები და იჯარით აღებული შენობა, რომელშიც განთავსებულია ჰიპერმარკეტი.

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2015 და 2016 წლებში

ცხრილი N 3

ძირითადი საშუალებები						
	<u>მანქანა დანადგარები</u>	<u>ავეჯი და საოფისე მოწყობილობა</u>	<u>ავტოსატრანსპორტო საშუალებები</u>	<u>იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა</u>	<u>სხვა</u>	<u>ჯამი</u>
	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000
<u>ღირებულება</u>						
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	38	11	100	–	–	149
ძირითადი საშუალებების ზრდა	1 647	207	257	156	20	2 287

ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>1 685</u>	<u>218</u>	<u>357</u>	<u>156</u>	<u>20</u>	<u>2 436</u>
დაგროვილი ცვეთა						
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1)	(1)	(2)	–	–	(4)
წლის ხარჯი	(154)	(29)	(32)	(13)	–	(228)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(155)	(30)	(34)	(13)	–	(232)
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>1 530</u>	<u>188</u>	<u>323</u>	<u>143</u>	<u>20</u>	<u>2 204</u>

2015 წლის განმავლობაში საწარმოს ძირითადი საშუალებები გაიზარდა 2 287 000 ლარით, წლის განმავლობაში დაგროვილმა ცვეთამ კი ჯამურად შეადგინა 228 000 ლარი. სრული დაგროვილი ცვეთა შეადგენს 232 000 ლარს და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ძირითადი საშუალებების ღირებულება არის 2 204 000 ლარი. ძირითადი საშუალებების ასეთი დიდი რაოდენობით მიღება განპირობებული იყო იმით, რომ ტერმინალ ვესტ თრეიდინგმა 2015 წელს დაიწყო გამოსვლა საქართველოს სამშენებლო მასალების ბაზარზე და პირველი ჰიპერმარკეტიც ამა წლის მაისში გაიხსნა. ჰიპერმარკეტის გახსნისთვის კი ჩატარდა იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელშიც იგულისხმება სხვადასხვა სტელაჟების და შოუ რუმების

მონტაჟი, ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისთვის სხვადასხვა მანქანა დანადგარებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

რაც შეეხება 2016 წელს ძირითადი საშუალებები კიდევ ნახევარი მილიონით გაიზარდა. ეს ზრდა დაკავშირებულია საწარმოს მიერ სავაჭრო ცენტრ ისტ პოინტის ტერიტორიაზე ჰიპერმარკეტისთვის კიდევ ერთი ნაწილის დამატებას, „დომინოს ბალის“ აშენებასა და გახსნას. ეს არის ლითონის კონსტრუქციის შენობა, რომელშიც გამოტანილია გასაყიდად ეზოს მცენარეები, სხვადასხვა ნერგები და ბალის ავეჯი.

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2015 და 2016 წლებში

ცხრილი N 4

<u>ძირითადი საშუალებები</u>						
	<u>მანქანა დანადგარე ბი</u>	<u>ავეჯი და საოფისე მოწყობილობა</u>	<u>ავტოსატრანსპორტო საშუალებები</u>	<u>იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა</u>	<u>სხვა</u>	<u>ჯამი</u>
	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1 685	218	357	156	20	<u>2 436</u>
ძირითადი საშუალებების შემოსვლა	122	14	–	394	–	<u>530</u>

ძირითადი საშუალებების გასვლა	(12)	-	(14)	-	(20)	<u>(46)</u>
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>1 795</u>	<u>232</u>	<u>343</u>	<u>550</u>	<u>0</u>	<u>2 920</u>
დაგროვილი ცვეთა						
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(155)	(30)	(34)	(13)		<u>(232)</u>
წლის ხარჯი	(346)	(47)	(45)	(44)		<u>(482)</u>
შემცირება რეალიზაციის შედეგად	4	-	2	-		<u>6</u>
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>(497)</u>	<u>(77)</u>	<u>(77)</u>	<u>(57)</u>	<u>0</u>	<u>(708)</u>
საბალანსო ღირებულება 2016 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>1 298</u>	<u>155</u>	<u>266</u>	<u>493</u>	<u>0</u>	<u>2 212</u>

გარდა ზემოთაღნიშნული დომინოს ბალის გახსნისა, საწარმომ იჯარით აღებული შენობის შიდა ტერიტორიის ნაწილზე, დაამატა ერთი სართული, რომელიც განკუთვნილია კარების და ავეჯის სექციისთვის, საქონლის სადემონსტრაციოდ.

საწარმოს 2016 წლის მდგომარეობით ჰქონდა 7 729 000 ლარის, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით 5 477 000 ლარის მარაგები. საქონელი დახარისხებულია თერთმეტ სექციად, რომლის მიხედვითაც ტარდება ინვენტარიზაცია და ხდება ნაშთების კონტროლი.

მარაგები

ცხრილი N 5

	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	<u>GEL' 000</u>	<u>GEL' 000</u>	<u>USD' 000</u>	<u>USD' 000</u>
ფილები	1 296	1 209	490	505
სანიტარული ტექნიკა	1 110	489	419	204
ბალის მცენარეები	1 071	460	405	192
კარი, სადურგლო ნაკეთობები	653	437	247	182
ინსტრუმენტები	648	517	245	216
შპალერი/ტექსტილი დეკორაცია	559	495	211	207
იატაკი	555	613	210	256
ელექტრო განათება	478	482	181	201
ავეჯი	320	110	121	46
სამშენებლო მასალები	306	341	116	142
საყოფაცხოვრებო საქონელი	287	234	108	98
საქონელი გზაში	194	–	73	–
სხვა ინვენტარი	252	90	95	38
სულ	<u>7 729</u>	<u>5 477</u>	<u>2 920</u>	<u>2 287</u>

გარდა ზემოთაღნიშნულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა, საწარმოს აქვს 3 642 000 ლარის მარაგები 2016 წლის მდგომარეობით და 1 789 000 2015 წლის მდგომარეობით. საწარმოს ზოგ ადგილობრივ მომწოდებლებთან გააჩნიათ კონტაქტები შემდეგი პირობით: მომწოდებელი აწვდის გარკვეული რაოდენობის საქონელს, რომლის ანგარიშსწორებასაც მყიდველი ახდენს იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი გაიყიდება. ანგარიშსწორების რაოდენობაც დამოკიდებულია გაყიდული საქონლის რაოდენობაზე. მარაგების ის ნაწილი, რომელიც არ გაიყიდება, გარკვეული პერიოდის შემდგომ უბრუნდება მომწოდებელს. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილობრივი მომწოდებლებისგან შესყიდულ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს, რომელთა ღირებულების ანგარიშსწორება არ განხორციელებულა მათ რეალიზაციამდე და

რომლებიც შეიძლება დაუბრუნდეს მომწოდებლებს უკუმოთხოვნის უფლების გარეშე, გააჩნია კონსიგნაციური სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მახასიათებლები და ამის შედეგად, საწარმოს ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ამგვარი სასაქონლო მატერიალური ინვენტარის აღიარება არ უნდა მოხდეს საწარმოს ჩანაწერებში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ცხრილი N 6				
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
ნაღდი ფული ბანკში	738	346	279	144
ფული გზაში	130	116	49	48
ფული სალაროში	72	22	27	9
სულ	<u>940</u>	<u>484</u>	<u>355</u>	<u>202</u>

რა იგულისხმება ცნებაში „ფული გზაში“. შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი ყველაზე ხშირად თანამშრომლობს საქართველოსა და თიბისი ბანკებთან. საწარმოს ძირითადი მომსახურე ბანკია თიბისი ბანკი. თიბისი ბანკის მეშვეობით ახორციელებს საწარმო ყოველდღიური ვაჭრობიდან მიღებული ფულადი სახსრების ინკასირებას საბანკო ანგარიშზე. ეს ხდება ყოველდღიურად კვირა დღის გარდა. ცნებაში ფული გზაში იგულისხმება ის ფულადი სახსრები, რომლებიც გავიდა სალაროდან, ჩაბარდა მომსახურე ბანკის ინკასატორებს და რომელიც უნდა ჩაირიცხოს საწარმოს საბანკო ანგარიშზე და რომელიც ამ კონკრეტული მომენტისთვის, ფინანსური ანგარიშგებისთვის საჭირო მონაცემების ამოღებისას საბანკო ანგარიშზე არ იყო ასახული.

რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებებს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმო უმეტესად საქონლის შესყიდვას ახორციელებს ადგილობრივი მომწოდებლებისგან. რაც

მას აძლევს უფრო მეტ შესაძლებლობას დადოს უფრო ხელსაყრელი კონტრაქტები და და შეამციროს ტრანსპორტირებისა და საბჟო დანახარჯები. აგრეთვე აიცილოს ტვირთის გადმოზიდვასთან დაკავშირებით საქონლის დაზიანების რისკი და საქონლის დაზღვევის ხარჯები. ამცირებს საქონლის მიღებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობას და ამით აუმჯობესებს მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხს.

კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები

ცხრილი N 7				
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
კრედიტორული დავალიანებები აღგილობრივ მომწოდებლებთან	(2 717)	(1 728)	(1 027)	(722)
კრედიტორული დავალიანებები უცხოელ მომწოდებლებთან	(724)	(409)	(247)	(171)
სულ	(3 441)	(2 137)	(1 300)	(892)

საგადასახადო დავალიანება

ცხრილი N 8				
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
მიმდინარე მოგების გადასახადი	(49)	–	(21)	–
რეზერვი	–	727	–	320
რეზერვის კორექტირება	(812)	–	(343)	–
ჯამი	(861)	727	(364)	320
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
მოგება დაბეგვრამდე	(2 382)	(5 228)	(1 006)	(2 303)
თეორიულად გადასახდელი მოგების გადასახადი 15 %	(357)	(784)	(151)	(345)

მოგების გადასახადი რომელიც არაა აღიარებული	357	-	151	-
რეზერვის კორექტირება გამოწვეული კანონმდებლობის ცვლილებით	812	-	343	-
მუდმივი სხვაობა	49	57	21	25
ჯამი	861	(727)	364	(320)

ბუღალტრულ აღრიცხვაში ხვდება ზუსტად ის თანხები რომლებიც გამოწვეულია უკვე შესრულებული ოპერაციებით და დარიცხული ვალდებულებებით. ჩვენს შემთხვევაში მოგების გადასახადი ფინანსურად აღიარებულია ისე თითქოს ფული უკვე გავიდა. ბუღალტრულ აღრიცხვაში ეს თანხა არ ჩანს, რადგან რეალურად არ გადაუხდია საწარმოს ზემოთნაჩვენები თანხა. ანუ ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის სახით ნაჩვენებია მომავალში რა თანხის გადახდა მოუწევს საწარმოს მოგების გადასახადის გადასახდელად. მაგრამ რადგან 2016 წელს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება მოგების გადასახადთან დაკავშირებით, მოხდა ამ რეზერვის უკუგატარება, ანუ ჩამოწერა.

ადგილი ჰქონდა საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. კოდექსი ვრცელდება ქართულ კომპანიებსა და არარეზიდენტი კომპანიების მიდმივ წარმომადგენლობებზე საქართველოში, გარკვეული საფინანსო ინსტიტუტების გარდა. წინა მოგების გადასახადის რეჟიმი, რომლის მიხედვითაც კომპანიები წლიური დასაბეგრი მოგების მიხედვით იხდიდნენ გადასახადს, ჩანაცვლდა სისტემით, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადახდა მოხდება მხოლოდ კორპორაციული მოგების განაწილების შემთხვევებში. აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზისებს შორის. საგადასახადო

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთი, რომელიც წინა პერიოდში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, რაც როგორც უკვე აღინიშნა 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის სრულად იქნა ჩამოწერილი მოგება ზარალში.

რაც შეეხება საშემოსავლოს, დღგს, და ქონების გადასახადს, მათი ჩაშლა გამოიყურება შემდეგნაირად

საგადასახადო დავალიანება

ცხრილი N 9				
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	119	–	45	–
დასაბრუნებელი/ჩასათვლელი დღგ	–	130	–	54
წინასწარ გადახდილი ქონების გადასახადი	1	1	0,3	0,4
ჯამი	<u>120</u>	<u>131</u>	<u>45</u>	<u>55</u>
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
გადასახდელი მოგების გადასახადი	(49)	–	(19)	–
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	–	(84)	–	(35)
ქონების გადასახადი	–	–	–	–
გადასახდელი დღგ	(247)	–	(93)	–
ჯამი	<u>(296)</u>	<u>(84)</u>	<u>(112)</u>	<u>(35)</u>

2.2 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შ.პ.ს. ტერმინალ ვესტ თრეიდიზის რეალიზაციები შედგება საცალო გაყიდვებისგან ფიზიკურ პირებზე, კორპორატიული გაყიდვებისგან და ელექტრონული კომერცისგან. საცალო გაყიდვას საწარმო ახორციელებს სავაჭრო-გასართობ ცენტრ ისტ პოინტის ტერიტორიაზე. საწარმო აგრეთვე ემსახურება მსხვილ ორგანიზაციებს და დამკვეთებს ხელშეკრულებების საფუძველზე ინდივიდუალური პირობებით. ამ ტიპის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება გამოცალკევებულად, როგორც კორპორატიული გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი. საწარმოს გააჩნია ელექტრონული საიტი, ოფიციალური ვებ გვერდი, რომლის საშუალებითაც ონლაინ რეჟიმში ახორციელებს ვაჭრობას როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. ამ ტიპის გაყიდვები გამოცალკევებულია და აღირიცხება, როგორც ელექტრონული კომერციიდან მიღებული შემოსავალი, მაგრამ ვინაიდან საწარმომ დაიწყო ელექტრონულად ვაჭრობა 2017 წლის დასაწყისში, ამიტომ მოცემული პერიოდების შემოსავლების ანგარიშგებაში ეს მონაცემი არ იქნება გამოყენებული. 2015–2016 წლების შემოსავლები შედგება საცალო გაყიდვებიდან და კორპორატიული გაყიდვებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები შემოსავალი შემცირებულია პერიოდის განმავლობაში მომხმარებლების მიერ დაბრუნებული საქონლის ღირებულებით.

შემოსავალი

ცხრილი N 10				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD' 000
საცალო გაყიდვები	32 800	18 148	13 589	7 994
კორპორატიული გაყიდვები	2 827	1 700	1 194	749

ელექტრონული კომერცია	–	–	–	–
გამოკლებული: რეალიზაციის დაბრუნებები	(503)	(287)	(213)	(126)
<u>სულ რეალიზაცია, წმინდა</u>	<u>35 124</u>	<u>19 561</u>	<u>14 841</u>	<u>8 616</u>

თუ შევადარებთ 2015 წლის და 2016 წლის გაყიდვებს, შევამჩნევთ, რომ რეალიზაციები მკვეთრადაა გაზრდილი 2016 წელს, რაც განპირობებულია იმით, რომ საწარმო ბაზარზე შემოდის 2015 წელს, მისი ცნობადობა ნაკლებია, ხოლო შემდგომ წელს ბაზარზე ორგანიზაციის ცნობადობა, მომხმარებლის ნდობის ხარისხი იზრდება, გასაყიდ პროდუქციაზე მოთხოვნაც მატულობს და საწარმოს კნკურენუნარიანობაც მაღლდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შ.პ.ს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი სხვადასხვა იურიდიულ პირებთან თანამშრომლობიდან იღებს შემოსავლებს, რომელიც ნაჩვენებია „კორპორატიული გაყიდვების“ ნაწილში. საწარმო შემოსავლებს აღრიცხავს ფასს 15-ის მიხედვით, ანუ იყენებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან სრულ მოდელს. ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარების ხუთ ეტაპიანი მოდელია:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;

- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც პირი შეასრულებს საკონტრაქტო ვალდებულებას.

შპს ტერმინალ ვესტ თრეიდიინგი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებისას, ანუ იმ პერიოდში, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა და მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს.

შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები შემოსავლის რეალური ღირებულებით. შემოსავალი მცირდება კლიენტების სავარაუდო შემოსავლის, ფასდაკლებისა და სხვა მსგავსი შეღავათების მიზეზით. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება მოხდება შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- საწარმო გადასცემს მყიდველს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და შემოსავლებს;
- საწარმო არ იტოვებს საკუთრებასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის უფლებას და არც ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ;
- სავარაუდოა, რომ გარიგებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი გადავა საწარმოში;
- გარიგებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

შემდეგ ეტაპზე განსახილველია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. აქ იგულისხმება საწარმოში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება, გამოვლენილი დანაკლისის ღირებულება, გამოვლენილი დანაკარგების ღირებულება და მიღებული ფასდაკლებები შესყიდვაზე. მიღებულ ფასდაკლებებში

შედის ეგრეთწოდებული მარკეტინგული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლები. ეს გულისხმობს, რომ მომწოდებელი მოცემულ საწარმოს უხდის გარკვეულ პროცენტს, მიღებული თანხიდან ან შესყდული საქონლის ღირებულებიდან პერიოდის განმავლობაში და გადასახდელი პროცენტის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ცხრილი N 11				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD'000
სასაქ. მატ. ფასეულობების ღირებულება	(2 4891)	(14 280)	(10 517)	(6 290)
სასაქ. მატ. ფასეულობების დანაკლისის ღირებულება	(175)	(122)	(74)	(54)
სასაქ. მატ. ფასეულობების დანაკარგის ღირებულება	(94)	-	(40)	-
ფასდაკლება შესყიდვებზე	61	-	26	-
<u>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</u>	<u>(25 099)</u>	<u>(14 402)</u>	<u>(10 605)</u>	<u>(6 344)</u>

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება „ფაიფოს“ მეთოდის საფუძველზე, ანუ „პირველი შემოსავალში პირველი გასავალში“. წმინდა რეალიზებადი ღირებულება წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული დასრულების ყველა

სავარაუდო ღირებულება და რეალიზაციის სისრულეში მოსაყვანად საჭირო ხარჯები. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ღირებულებაში მოიაზრება წლიური ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის ღირებულება. საწარმოში ინვენტარიზაციები ტარდება ყოველდღიურად და ყოველწლიურად.

სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯი მოგება-ზარალის მიხედვით არის 7 187 ათასი ლარი 2016 წელს და 5 462 ათასი ლარი 2015 წელს.

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

ცხრილი N 12				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD'000
სახელფასო ხარჯი	(2 701)	(1 795)	(1 141)	(791)
საიჯარო ხარჯი	(1 841)	(1 306)	(778)	(575)
იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი	(674)	(328)	(285)	(144)
რეკლამის ხარჯი	(627)	(1 376)	(265)	(606)
ცვეთის ხარჯი	(432)	(182)	(183)	(80)
საბანკო მოსაკრებელი	(316)	(160)	(134)	(70)
კომუნალური ხარჯები	(336)	(184)	(142)	(81)
რემონტის ხარჯები	(106)	(58)	(45)	(26)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(35)	(29)	(15)	(13)
მიწოდების სხვა ხარჯები	(119)	(44)	(50)	(19)
სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(7 187)	(5 462)	(3 037)	(2 406)

ხარჯებში ყველზე დიდი წილი მოდის სახელფასო ხარჯებზე და იჯარის დანახარჯებზე. სახელფასო ხარჯი ნაჩვენებია როგორც რეალიზაციისა და

დისტრიბუციის ხარჯში, ისე ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯში. რეალიზაციის და დისტრიბუციის სახელფასო დანახარჯებში შედის ფრონტ ოფისის და კონსულტანტების ხელფასები, ხოლო ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში გათვალისწინებულ სახელფასო დანახარჯში მმართველი რგოლისა და ადმინისტრაციის ხელფასები.

ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები

ცხრილი N 13				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD'000
სახელფასო ხარჯები – ზოგადი და ადმინისტრაციული	(1 749)	(1 483)	(739)	(653)
ოფისის იჯარა	(127)	(92)	(54)	(41)
სადაზღვევო ხარჯები	(93)	(37)	(39)	(16)
სამივლინებო ხარჯები	(88)	(137)	(37)	(60)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(63)	(51)	(27)	(22)
საკონსულტაციო დანახარჯები	(1)	(37)	(0)	(16)
სატრანსპორტო დანახარჯები	(31)	(47)	(13)	(21)
საკომუნიკაციო დანახარჯები	(22)	(27)	(9)	(12)
სხვა ხარჯები	(156)	(259)	(66)	(114)
სულ	(2 330)	(2 170)	(984)	(956)

ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში განვმარტოთ აგრეთვე საკონსულტაციო და საკომუნიკაციო დანახარჯები. საკონსულტაციო დანახარჯებში შედის აუდიტორული და სხვა სახის მომსახურება, ხოლო საკომუნიკაციო დანახარჯებში შედის ინტერნეტის და სატელეფონო მომსახურების ღირებულება.

ყველა სახის იჯარა აღირიცხება როგორც საოპერაციო იჯარად. როდესაც განვიხილავთ საწარმოს როგორც მოიჯარეს, საჭიროა ხაზი გაესვას, რომ საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში. საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო უკეთესად წარმოადგენს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება

ცხრილი N 14				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD'000
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი	(1 451)	(1 092)	(613)	(481)
ფინანსური ოპერაციების გასავალი	(1 220)	(1 747)	(515)	(770)
სულ	(2 671)	(2 839)	(1 129)	(1 251)

ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ინსტრუმენტებთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ყიდვას დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ სპეციფიურ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული,“ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. საწარმოს ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, დებიტორული და სხვა სახის დავალიანებები და გაცემული სესხები, რომლებიც კლასიფიცირდება სესხებად და მოთხოვნებად.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ცხრილი N 15				
შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი				
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის				
	2016	2015	2016	2015
	GEL' 000	GEL' 000	USD' 000	USD'000
შემოსავალი	35 124	19 561	14 841	8 616
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(25 099)	(14 402)	(10 605)	(6 344)
მთლიანი მოგება	<u>10 025</u>	<u>5 159</u>	<u>4 236</u>	<u>2 272</u>

სარეალიზაციო და დისტრიბუციის ხარჯები	(7 187)	(5 462)	(3 037)	(2 406)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2 330)	(2 170)	(984)	(956)
სხვა საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი	-	-	-	-
საოპერაციო მოგება/ზარალი	508	(2 473)	215	(1 089)
ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება	(2 671)	(2 839)	(1 129)	(1 251)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი	(219)	84	(93)	37
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე	(2 382)	(5 228)	(1 006)	(2 303)
მოგების გადასახადის ხარჯი	(861)	727	(364)	320
წლის ზარალი	(3 243)	(4 501)	(1 370)	(1 983)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ სრული ზარალი	(3 243)	(4 510)	(1 370)	(1 983)

საწარმოს დაფინანსება ძირითადად ხდება აღებული სესხით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულებების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებითაც საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (მათ შორის ნებისმიერი

გადახდილია ან მიღებული საფასურების, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯის ან სხვა პრემიისა თუ დისკონტირების შემადგენელ ნაწილს) გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ მისაღებია უფრო მოკლე ვადაში.

2.3 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საწარმოში საწესდებო კაპიტალის თავდაპირველი შენატანი იყო 261 000 ლარი, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ამავე პერიოდისთვის დაფიქსირებული ზარალი შეადგენდა 404 000, რაც განპირობებული იყო თავდაპირველი დანახარჯებით რაც უკავშირდებოდა 2014 წელს საქართველოს ბაზრის შესწავლა ანალიზს, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ხარჯებს და 2015 წლისთვის ბაზარზე გასვლის მოსამზადებელ ეტაპს. 2016 წელს მოხდა დამატებით კიდევ 2 397 000 ლარის შემოტანა პარტნიორთა მიერ საწესდებო კაპიტალში, რაც აგრეთვე ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაშიც.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ცხრილი N 16			
	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	GEL' 000	GEL' 000	GEL' 000
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	261	(404)	(143)
ზარალი მოცემული პერიოდისთვის	-	(4 501)	(4 501)
სულ ჯამური შენატანი წლის განმავლობაში	-	(4 501)	(4 501)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	261	(4 905)	(4 644)
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	261	(4 905)	(4 644)

ზარალი მოცემული პერიოდისთვის	-	(3 243)	(3 243)
ჯამი	-	(3243)	(3 243)
<u>პარტნიორების შენატანები და ფულადი სახსრების განაწილება</u>			
გაცემული დივიდენდები	-	-	-
პარტნიორთა დამატებითი შენატანები	2 397	-	2 397
ჯამური შენატანი კაპიტალში	2 397	-	2 397
<u>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	2 685	(8 148)	(5 490)

2.4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შ.პ.ს „ ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას წარადგენს არაპირდაპირი მეთოდით. ანუ ჯერ ნაჩვენებია საოპერაციო საქმიანობიდან რა ფულადი და არაფულადი სახსრები მიიღო საწარმომ, ხოლო შემდეგ ჩანს ის თუ რაში დაიხარჯა მიღებული ფულადი სახსრები. პირველ რიგში გამოყოფილია ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან, შემდეგ ჩამოილია საინვესტიციო საქმიანობა და ბოლოს ფინანსური საქმიანობა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

ცხრილი N 17		
	2016	2015
	GEL'000	GEL'000
<u>საოპერაციო საქმიანობა</u>		
მოგება გადასახადების გადახდის შემდგომ	(3 243)	(4 501)
მოგების გადასახადის ხარჯი	861	(727)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	495	234
წმინდა ფინანსური ხარჯი	1 198	1 724
ზარალი/მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	1 353	1 115
საქონლის დანაკლისი	175	122
საქონლის დანაკარგები	94	–
<u>ფულადი სახსრების შემოსვლა და გასვლა საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</u>	<u>933</u>	<u>(2 033)</u>
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანების კლება/ზრდა	(240)	(212)
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდა	(2 521)	(5 599)

საგადასახადო აქტივების კლება	47	(116)
გადახდილი ავანსების ზრდა კლება	738	(791)
სხვა მიმდინარე აქტივების კლება/ზრდა	(9)	–
მიღებული ავანსის ზრდა	411	82
დებიტორული და სხვა სახის დავალიანებების ზრდა	1 227	2 180
საგადასახადო დავალიანებების ზრდა	127	83
სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა	(78)	78
<u>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/გამოყენებული ნაღდი ფული</u>	<u>635</u>	<u>(6 328)</u>
<u>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>		
<u>საინვესტიციო საქმიანობა</u>		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(530)	(2 287)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	–	(147)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	40	–
<u>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(490)</u>	<u>(2 434)</u>
<u>ფინანსური საქმიანობა</u>		
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	300	9 040
<u>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>300</u>	<u>9 040</u>
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურისის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	11	58
წმინდა ზრდა/შემცირება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	456	336
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	484	148

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	940	484
მათ მიეკუთვნებათ შემდეგი:		
ფული ბანკში	738	346
ფული გზაში	130	116
ნაღდი ფული სალაროში	72	22

აქედან ნათლად ჩანს, რომ ფულადი სახსრების ყველაზე დიდი ნაწილის ინვესტირება ხდება ძირითად საშუალებებში და სასაქონლო მატერიალურ მარაგებში. 2016 წელს გაზრდილია ნასესხები სახსრების რაოდენობაც 300 000 ლარით. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს ჰქონდა საკმარისი ფინანსური რესურსები იმისთვის რომ საკუთრი სახსრებით მოეხდინა „დომინოს ბალის“ დაფინანსება (რომელზე გაწეული ხარჯებიც ნაჩვენებია ძირითადი საშუალებების ჩესყიდვაში 530 000 ლარი), საწარმოს ხელმძღვანელობამ მიიჩნია ფინანსური სტაბილურობის დაცვისა და სიმყარის მიზნით დამატებით აელო 300 000 ლარის სესხი.

2.5 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შ.პ.ს. ტერმინალ ვესტ თრეიდინგი დაფუძნდა ქალაქ თბილისში 2014 წელს, მასში ერთპიროვნული პარტნიორის თომას გიჟასის მიერ, ხოლო 2014 წლის ივლისში საწარმოს საკუთრების უფლება გადაეცა Terminal West B.V.-ს ნიდერლანდები. საწარმოს უკავია 12 000 კვ.მ. სავაჭრო ცენტრ ისტ ფონთის ტერიტორიაზე.

საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. იმ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც არ წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონალურ ვალუტას აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველ ანგარიშგების დღეს უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ერთეულების გადაყვანა ხდება ანგარიშგების დღეს არსებულ განაკვეთებში. გაცვლითი კურსის სხვაობით გამოწვეული ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი გათვალისწინებულია შემოსავალ-გასავლის ან სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში მოცემული პერიოდისთვის.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს სრული ვალდებულებები აღემატებოდა საწარმოს სრულ აქტივებს 5 490 ათასი ლარით, ხოლო 2015 წელს 25 770 ათასი ლარით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი საწარმოსგან მიღებულმა სესხებმა შეადგინა 13 298 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 12 910 ათასი ლარი. აკუმულირებული ზარალი 2016 წლის მდგომარეობით იყო 8 148 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით 4 905 ათასი ლარი. ეს შედეგები გამოწვეულია შემდეგ მიზეზთა გამო:

- 2015 წელს გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტი და ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილი ხმარდებოდა სასაქონლო მატერიალური მარაგების შექმნას, იმის

გათვალისწინებით, რომ კომანიის ცნობადობა დაბალია პირველ წელს და გაყიდვები ვერ უზრუნველყოფს პირველივე წელს მოგების მიღებას.

- საწარმოს უარყოფითი წმინდა ვალდებულების პოზიცია ძირითადად გამოწვეული იყო მისი მშობელი საწარმოსგან გრძელვადიანი სესხების აღებით. საწარმო ახდენდა ფულადი სახსრების გამოთხოვას საჭიროებისამებრი 10 000 ათას ამერიკული დოლარის ლიმიტიდან.
- 2016 წელს უკვე მნიშვნელოვნად შეიმჩნევა დადებითი საოპერაციო ფულადი მიმოქცევის ტენდენცია და სავარაუდოა რომ მომავალშიც შენარჩუნდება რადგან სამომავლოდ არ არის მოსალოდნელი მსხვილი საოპერაციო ფულადი გადახდები.
- ზარალი, განსაკუთრებით კი 2016 წელს გამომდინარეობს მშობელი კომპანიიდან მიღებულ სესხებზე არსებული საპროცენტო ხარჯითა და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსით გამოწვეული ზარალით. სავარაუდოა, რომ რომ გაყიდვების შემდგომი ზრდის შედეგად საწარმო მოახდენს დადებითი მოგების მიღებას უახლოეს მომავალში პროცენტისა და გადასახადების გადახდამდე.
- საწარმომ მიიღო ფორმალური ვალდებულება მისი მფლობელისგან, რათა ხელი შეუწყოს საოპერაციო საქმიანობას და ვალდებულებების დაფარვას საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფის გზით.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ განაგრძობდა საქმიანობას, შესწორებები უნდა განხორციელებულიყო აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასა და საბალანსო ღირებულებაში და დამატებით ვალდებულებებზე, რომლებიც შესაძლებელია წარმოშობილიყო, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დარიცხვები. მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს რაიმე შესწორებას, რაც შესაძლებელია წარმოშობილიყო მოცემული გაურკვევლობის შედეგად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ანგარიშგების წესის საფუძველზე და წარმოდგენილია ათას ლარში. ანუ აქ იგულისხმება, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების

კონცეფციის საფუძველზე, გარდა ყოველი ანგარიშგების დასასრულს გადაფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული გარკვეული ქონებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. ისტორიული ღირებულება კი ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, საწარმო ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების შეფასება იყოფა პირველ, მეორე და მესამე დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში, რაც აღწერილია ქვემოთ:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები, რომელთა შეფასება პირს შეუძლია შეფასების დღეს.
- მეორე დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებებისთვის
- მესამე დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისთვის შეუძლებელია.

რეალური ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების ტარილისთვის. საწარმომ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება იმ საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ის არსებობს ასევე შესაბამისი შეფასების

მეთოდოლოგიის გამოყენებით. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საბაზრო ინფორმაციას.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება ეფუძნება სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული ფასდაკლების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. დებიტორული დავალიანების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია რეალურ ღირებულებასთან მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო.

განცხადებული ვადის მქონე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიხედვით, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისათვის. ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებითია მათ რეალურ ღირებულებებთან.

ფულისა და ფულის ექვივალენტის ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის გაზომვის გამოყენებით და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა მესამე დონის გაზომვის გამოყენებით

გრძელვადიანი ვალდებულებები, მათი დაფარვის ვადები და საპროცენტო განაკვეთები:

გრძელვადიანი ვალდებულებები

ცხრილი N 18						
	2016	2015	ვალუტა	პროცენტი	პროცენტი	დაფარვის ვადა
	GEL' 000	GEL' 000		2016 2017	2015	
სესხი საწარმოსგან Terminal West B.V.	(13 298)	(12 910)	USD	11%	20%	31.12.2020
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	(13 298)	(12 910)				

საწარმო ცდილობს შეძლოს სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება. საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს წმინდა დავალიანებას (ნასესხები სახსრების დაფარვა ნაღდი ფულითა და საბანკო ნაშთებით) და საწარმოს კაპიტალს (რომელიც თავის მხრივ მოიცავს გამოშვებულ კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას). საწარმო არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი პერიოდის დასასრულს შემდეგია:

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი

ცხრილი N 19				
	2016	2015	2016	2015
	GEL'000	GEL'000	USD'000	USD'000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13 298	12 910	5 024	5 391
ფული და ფულის ექვივალენტები	(940)	(484)	(355)	(202)
<u>წმინდა გრძელვადიანი ნასესხები</u> <u>სახსრები</u>	<u>12 358</u>	<u>12 426</u>	<u>4 669</u>	<u>5 189</u>
კაპიტალი	(5 490)	(4 644)	(2074)	(1 939)
<u>დამოკიდებულება საკუთარ კაპიტალსა</u> <u>და ვალდებულებებს შორის</u>	<u>-225%</u>	<u>-268%</u>	<u>-225%</u>	<u>-268%</u>

მოცემული სურათი გვაჩვენებს რომ საწარმო დაფინანსებულია ნასესხები სახსრების ხარჯზე და საკუთარი კაპიტალის წილი ძალიან მცირეა, რაც არ არის სასურველი საწარმოს გადახდისუნარიანობისთვის.

საწარმოს ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია საწარმოს ოპერაციების დაფინანსება. საწარმოს გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორცაა დებიტორული და სხვა დავალიანება, ფული და ფულის ექვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია:

ფინანსური ინსტრუმენტები

<u>ცხრილი N 20</u>				
	<u>2016</u>	<u>2015</u>	<u>2016</u>	<u>2015</u>
	GEL'000	GEL'000	USD'000	USD'000
<u>ფინანსური აქტივები</u>				
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	452	212	171	89
ფული და ფულის ექვივალენტები	940	484	355	202
<u>სულ ფინანსური აქტივები</u>	<u>1 392</u>	<u>696</u>	<u>526</u>	<u>291</u>
<u>ფინანსური ვალდებულებები</u>				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	(13 298)	(12 910)	(5 024)	(5 391)
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	(3 441)	(2 137)	(1 300)	(892)
<u>სულ ფინანსური ვალდებულებები</u>	<u>(16 739)</u>	<u>(15 047)</u>	<u>(6 324)</u>	<u>(6 283)</u>

ძირითადი რისკები რომელიც წარმოიშვება საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტებიდან, სავალუტო და ლიკვიდობის რისკებია. სავალუტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რომელსაც ახორციელებს საწარმო. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტაში. საწარმო არ სარგებლობს რაიმე წარმოებული აქტივით სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების მართვის მიზნით. საწარმოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, 2017 წლის 31

დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ათას დოლარსა და ათას ევროში შესაბამისი გაცვლითი კურსებით:

ცხრილი N 21

2016 წლის 31 დეკემბერი		
	USD	EUR
	2016	2016
ოფიციალური გაცვლითი კურსი	2,6468	2,7940
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	442	7
სულ ფინანსური აქტივები	442	7
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13 298	–
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	277	447
სულ ფინანსური ვალდებულებები	13 575	447
სულ წმინდა პოზიცია	(13 133)	(440)

2015 წლის 31 დეკემბერი		
	USD	EUR
	2015	2015
გაცვლითი კურსი	2,3949	2,6169
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	9	7
სულ ფინანსური აქტივები	9	7
ფინანსური ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12 910	–

კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	3	427
სულ ფინანსური ვალდებულებები	12 913	427
სულ წმინდა პოზიცია	(12 904)	(420)

ქვემოთმოყვანილ ცხრილზე ნაჩვენებია როგორ აისახება საწარმოზე ფუნქციონალური ვალუტის გამყარება და შესუსტება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში 20% -ით 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩაუტარდა შესაბამის ვალუტებში წარმოდგენილ ფულად საშუალებებს ანგარიშგების თარიღისთვის.

ცხრილი N 22

<i><u>GEL'000</u></i>	<u>ლარის გამყარება</u>	<u>ლარის შესუსტება</u>
<u>31 დეკემბერი 2016</u>		
USD (20%)	2 627	(2 627)
EUR (20%)	88	(88)
<u>31 დეკემბერი 2015</u>		
USD (20%)	2 581	(2 581)
EUR (20%)	84	(84)

ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საწარმოს აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთანავე, საწარმოს ფინანსური პოზიცია შესაძლებელია იცვლებოდეს იმ დროისთვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად საწარმოს ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს გავლენა ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის

ცვალებადობასთან. სხვა შეზღუდვებში კი იგულისხმება სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისთვის, რომელიც წარმოადგენს საწარმოს შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

ფინანსური ანგარიშგების კომენტარებში აუცილებლად განსახილველია ლიკვიდურობის რისკი. საწარმოს ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საწარმოს მიერ ვადადამდგარი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი.

ქვემოთმოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საწარმოს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა მის არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით შეთანხმებული დაფარვის ვადებით 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ცხრილი N 23							
	საბალანსო ღირებულება	სულ ფულადი გასავლები ხელშეკრულებების მიხედვით	1 თვეზე ნაკლები	1 დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
	GEL'000	GEL'000	GEL'000	GEL'000	GEL'000	GEL'000	GEL'000
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით							
არასაპროცენტო	3 441	3 441	1 975	358	1 108	–	–
საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	13 298	20 421	–	–	–	20 421	–
ჯამურად	16 739	23 862	1 975	358	1 108	20 421	=
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით							
არასაპროცენტო	2 137	2 137	1 323	487	327	–	–

საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	12 910	34 859	-	-	-	34 859	-
ჯამურად	<u>15 047</u>	<u>36 996</u>	<u>1 323</u>	<u>487</u>	<u>327</u>	<u>34 859</u>	<u>=</u>

ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე ყველაზე ადრეულ თარიღზე, როდესაც საწარმოს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილში წარმოდგენილია როგორც პროცენტის, ასევე ძირითადი თანხის ფულადი ნაკადები. ვინაიდან პროცენტი წარმოადგენს ცვალდებად განაკვეთებს, არადისკონტირებული ოდენობა მიღებულია საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან აღრიცხვის პერიოდის დასასრულს.

საწარმო შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგის დაკავშირებულ მხარს წარმოადგენს სიბიდი დეველოპმენტი, რომლის ტერიტორიაზეცაა განთავსებული ტერმინალ ვესტ თრეიდინგის ჰიპერმარკეტი ისტ ფონთში.

დაკავშირებულ მხარეებში შედიან აქციონერები, შვილობილი კომპანიები და ის საწარმოები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან საერთო საკუთრების ან კონტროლის ქვეშ ძირითადი ხელმძღვანელობის წევრებთან. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ ისეთი გარიგებები, რომელთა გაფორმებაც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს, გარდა ამისა დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება სისრულეში მოყვანილ იქნეს იგივე ვადითა და პირობებით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. საწარმოს ჰქონდა შემდეგი გარიგებები მის დაკავშირებულ მხარეებთან:

ურთიერთდაკავშირებული მხარეები

ცხრილი N 24			
2016 – GEL'000	აქციონერები	აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	–	1 745	<u>1 745</u>
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13 298	–	<u>13 298</u>
შემოსავალი	–	258	<u>258</u>
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	–	2 472	<u>2 472</u>
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	–	463	<u>463</u>
2015 - GEL'000	აქციონერები	აქციონერებთან ასოცირებული პირები და მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოები	სულ
კრედიტორული და სხვა სახის	–	642	<u>642</u>

დავალიანება			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12 910	-	<u>12 910</u>
შემოსავალი	-	421	<u>421</u>
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი	-	1 789	<u>1 789</u>
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	276	<u>276</u>

რაც შეეხება ვალდებულებებსა და სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებს. საწარმოს არ გააჩნია გადაუხდელი მატერიალური ვალდებულებები 2015 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული პერიოდების მდგომარეობით საწარმო არ ყოფილა ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. საწარმოს საქმიანობის პროცესში რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში არ ყოფილა გათვალისწინებული ზარალის რეზერვი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია და შესწორება სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შესაძლებელია განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, გარიგებებს შესაძლებელია საფრთხე შეექმნას საგადასახადო ორგანოების მხრიდან და შედეგად საწარმოს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. იქიდან გამომდინარე რომ საწარმოს ხელმძღვანელობას სჯერა რომ მან სისრულეში მოიყვანა ყოველგვარი საგადასახადო ანგარიშსწორება, შესაბამისად

არავითარი შეღავათი არ ყოფილა გათვალისწინებული ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო წლები რჩება ღიად საგადასახადო ორგანოების მიერ განსახილველად.

რაც შეეხება საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარა გულისხმობს მაღაზიასა და საოფისე შენობის იჯარებს, რომელთა საიჯარო ვადა იწურება 2025 წლის მაისში. საწარმო არ გეგმავს იჯარით აღებული შენობის შესყიდვას საიჯარო ვადის ამოწურვის შემდგომ. საწარმოს გააჩნია შემდეგი არა გაუქმებადი ხასიათის საოპერაციო იჯარის ვალდებულებები:

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები

ცხრილი N 25		
	2016	2015
	GEL '000	GEL '000
არაუმეტეს 1 წლისა	1 768	1 723
1 წელზე მეტი მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	7 072	7 072
5 წელზე მეტი	6 121	7 889
<u>სულ</u>	<u>14 961</u>	<u>16 683</u>

დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენა და წარდგენა ძალიან მნიშვნელოვანია საწარმოს ხელმძღვანელობისთვის და ინფორმაციის სხვა მომხმარებლისთვის. მასში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე მიიღება სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებები. თვალსაჩინო ხდება და პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს: საწარმოს რომელი ნაწილი ფუნქციონირებს ყველაზე კარგად, საქმიანობის რომელი სახეა მეტი შემოსავლის მომტანი, სჭირდება თუ არა საწარმოს დამატებითი რესურსები, საქმიანობის რომელი ნაწილია წამგებიანი, რა ფარული რეზერვები გააჩნია საწარმოს მოგების ზრდისთვის, რამდენად ლიკვიდურია საწარმო, რა სახის ვალდებულებები გააჩნია და რა პერიოდზეა გათვლილი მათი დაფარვა, ჰყოფნის თუ არა საწარმოს არსებული რესურსები ვალდებულებების დასაფარად და სხვა. ფინანსური ანგარიშგების საშუალებით ხდება საწარმოს მიმდინარე მდგომარეობის ჩვენება და მომავლის პროგნოზირება, რის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ინვესტორების მოზიდვა რათა გაფართოვდეს საწარმოს საქმიანობის საზღვრები და დაფინანსდეს ახალი პროექტები, აღმოიფხვრას საწარმოს საქმიანობის ნაკლოვანი მხარეები.

შ.პ.ს. „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“ საკმაოდ დიდი საწარმოა, რომელსაც 2019 წლის მდგომარეობით უკვე სამი ფილიალი აქვს თბილისის მასშტაბით გახსნილი, დაახლოებით 550 თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული და გეგმავს უახლოეს მომავალში ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას. საკმაოდ ძლიერი, კონკურენტუნარიანი მოთამაშეა ბაზარზე, თუმცა აღრიცხვის კუთხით მასაც აქვს გარკვეული ტიპის ხარვეზები. მაგალითად დასახვეწია კონტროლის პროცედურები ხარჯების აღრიცხვის კუთხით. ოგანიზაცია გეგმავს, რომ დანერგოს ელექტრონული განაცხადი ხარჯის გაწევაზე გადახდასა და ბუღალტრულად აღრიცხვაზე. ეს გულისხმობს იმას, რომ რომელიმე დეპარტამენტის მიერ გასაწევი ხარჯების შესახებ მომზადდება ელექტრონული მოთხოვნა, მოხდება მისი დადასურება შესაბამისი

უფლებამოსილი პირების მიერ და ელექტრონულ ფორმატში მიეწოდება ბუღალტერიას ხარჯის დაფარვისა და აღრიცხვისათვის. ამ პროცედურის გამართვა ხელს შეუწყობს ოპერაციების უფრო სწრაფად და მარტივად განხორციელებას, ხოლო უსაფრთხოების კუთხით გააუმჯობესებს კონტროლს თითოეული ორგანიზაციული ქვეგანყოფილების მიერ გაწეული ხარჯების ოდენობასა და მიზანშეწონილობაზე. უფრო იოლი გახდება ხარჯების კუთხით ყოველთვიური და ყოველწლიური ბიუჯეტის დადგენა თითოეული დეპარტამენტისთვის.

საწარმოს აქვს არასწორი მიდგომა სამივლინებო ხარჯების აღრიცხვის კუთხით. გაწეული ხარჯების უმეტეს ნაწილზე არ ხდება თანამშრომლების მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სრულად, რის გამოც სამივლინებო ხარჯების ნაწილი აღიარდება თანამშრომლის დამატებით შემოსავლად რაც ითვალისწინებს გაწეული ხარჯების საშემოსავლო გადასახადით გაზრდას. ბუღალტრულად ეს სწორი გადაწყვეტილებაა, თუმცა უკეთესი იქნება თუ მმართველობითი კუთხით მოაწესრიგებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თანამშრომელთა მიერ დოკუმენტაციის შენახვა წარდგენა დაარქივების საკითხს. რითაც თავს აარიდებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

საწარმოს არ აქვს ჩამოყალიბებული ეფექტიანი სახელფასო სისტემა. საწარმოში გაიცემა ძირითადი ხელფასი, არის რამდენიმე სახის პრემია, მათ შორის ყოველთვიურად გაყიდვების გეგმის შესრულებაზე, ხელმძღვანელის მიერ კადრის წახალისებისთვის პრემია, სხვა დანამატები და დაზღვევისა და თანამშრომელთა კვების ბენეფიტები. რადგან საწარმოში არ არსებობს ქვედა და ზედა სახელფასო ზღვარი თანამშრომლის მიერ დაკავებული თანამდებობის მიხედვით/პოზიციის მიხედვით, საწარმოს ჯამური სახელფასო ხარჯი საკმაოდ მაღალია და 2015 წლის მდგომარეობით 7 632 000 ლარი ხოლო 2016 წლის მდგომარეობით 9 517 000 ლარი შეადგინა, იმის გათვალისწინებით რომ ამ პერიოდში საწარმოს დასაქმებული ჰყავდა

დაახლოებით 300 თანამშრომელი და ჰქონდა გახსნილი ერთი ჰიპერმარკეტი. იმისთვის, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ შეძლოს სახელფასო ხარჯების დაზოგვა, საჭიროა ჩამოაყალიბოს სახელფასო სისტემა, რომლის მიხედვითაც თითოეული თანამდებობის მიხედვით იქნება გაწერილი ფიქსირებული სახელფასო განაკვეთი, ხოლო პრემიაზე თანამდებობის მიხედვით იქნება დაწესებული ზედა ზღვარი.

საწარმოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მისაღები სასაქონლო მატერიალური მარაგების შესყიდვის კუთხით. თუ შევხედავთ ფულადი სახსრების მოძრაობას დავინახავთ რომ ყველაზე მეტი თანხა იხარჯება სასაქონლო მატერიალური მარაგების შეძენაში. 2015 წელს შეძენილია 5 599 000 ლარის სასაქონლო მატერიალური მარაგები ხოლო 2016 წელს დამატებით 2 521 000 ლარი დაიხარჯა. 2015 წელს მისაღები იყო ამ თანხის სასაქონლო მატერიალური მარაგების შეძენა, რადგან პირველი ფილიალი იხსნებოდა და პირველად შემოდიოდა საწარმო ბაზარზე. მომავალ პერიოდში სასაქონლო მატერიალური მარაგების ოპტიმიზაციისთვის და გაყიდვების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია გაკეთდეს ანალიზი, თუ რომელია ნაკლებმოთხოვნადი საქონელი, შემცირდეს მისი შეკვეთის სიხშირე და გაიწიოს დამატებითი ხარჯები არამოთხოვნადი საქონლის ამოყიდვაზე.

საწარმოში არ არის ბოლომდე გამართული სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცედურები. ყოველწლიური ინვენტარიზაციისას საწარმო აჩერებს ჰიპერმარკეტის ფუნქციონირებას ორიდან სამ სამუშაო დღემდე, რაც ამცირებს ბრუნვას. ინვენტარიზაციის პროცედურების გაუმჯობესებით საწარმო შეძლებს თავიდან აიცილოს შემოსავლების დაკარგვა. ინვენტარიზაციის პროცედურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და შეცდომების რაოდენობაც შემცირდება თუ საწარმო დათვლის პროცესში გამოიყენებს კომპიუტერულ ტექნიკას. (აქ იგულისხმება ის რომ დათვლის დროს სპეციალური ხელის სკანერის აპარატების გამოყენებით მოხდეს თითოეული შტრიხ კოდის შესაბამისი

რაოდენობის პროგრამული დაფიქსირება, და არა ქალაქის ბლანკზე ხელით მონაცემების შევსება და დაჯამება). ინვენტარიზაცია ჩატარდეს ღამით მას შემდეგ რაც ჰიპერმარკეტი დაიკეტება.

კიდევ ერთი პრობლემტური საკითხი რომელიც აქვს საწარმოს არის საბანკო ოპერაციების ნაწილობრივ ხელით, პირდაპირ ბანკის მეშვეობით შესრულება. საბუღალტრო პროგრამა უნდა დაიხვეწოს იმ დონემდე, რომ 100 %-ით მოხდეს ბანკისა და პროგრამის ინტეგრაცია და ნებისმიერი უნაღლო ოპერაციის შესრულება შესაძლებელი გახდეს პროგრამის მეშვეობით. ეს გამორიცხავს სააღრიცხვო შეცდომებსაც და გაზრდის უსაფრთხოებასაც უნაღლო ტრანზაქციებთან მიმართებაში.

საწარმო ძირითადად ფინანსდება ნასესხები სახსრებით. აღებული გრძელვადიანი სესხით, რომლის დაფარვაც გადანაწილებულია 2020 წლამდე. დამოკიდებულება საწარმოს საკუთარ სახსრებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის 2015 წლის მდგომარეობით -268%, ხოლო 2016 წელს -225%-ია, რაც თავის მხრივ აუარესებს საწარმოს ფინანსურ სურათს. საწარმომ უნდა შეძლოს შეამციროს აღნიშნული თანაფარდობა.

ფინანსური ანგარიშგება გვამღევეს ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, ხდება წარსულში მომხდარი ფაქტების ანალიზი და მომავალი შედეგების პროგნოზირება, განისაზღვრება რისკები და მათი უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დაყვანის გზები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ; 2016 წ.;
2. ფინანსური ანგარიშგები სკონცეპტუალური საფუძვლები; 2017 წ.;
3. ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება; 2017 წ.;
4. ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები განმარტებითი შენიშვნები; 2017 წ.;
5. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები; 2017 წ.;
6. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა 2017 წ.;
7. ბასს 7 ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2017 წ.;
8. ბასს 17 იჯარა; 2017 წ.;
9. ბასს 21 უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები 2017 წ.;
10. ბასს 24 დაკავშირებულ მხარეებთან განმარტებითი შენიშვნები; 2017
11. ბასს 32 ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა
12. ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება; 2017წ;
13. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., „ფინანსური აღრიცხვა“ გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2017;
14. კვატაშიძე ნ, ხორავა ა, სრესელი ნ, გოგრიჭიანი ზ, „ფინანსური აღრიცხვა მე_2 დონე“. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2009
15. ფინანსური ანგარიშგება:

http://finance-m.info/financial_statements_analysis.html

16. შპაკლოვა ვ.მ. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა. <http://xn--80aatn3b3a4e.xn--p1ai/book/3844/154588/%D0%9F%D1%80%D0%B5%D0%B4%D1%81%D1%82%D0%B0%D0%B2%D0%BB%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5%20%D1%84%D0%B8%D0%BD%D0%B0%D0%BD%D1%81%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B9%20%D0%BE%D1%82%D1%87%D0%B5%D1%82%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8.html>
17. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საწყისები <http://www.ifrs.org.ua/wp-content/uploads/2013/07/Kontseptual-ny-e-osnovy-finansovoj-otchetnosti.pdf>
18. ბესკოროვანაია ს.ა., „ფინანსური ანგარიშგების მიზანი და ძირითადი დაშვებები“ <http://hi-edu.ru/e-books/xbook653/01/part-003.htm#i32>
19. ტერენტევა ტ.ვ. – „სტრუქტურა და შემადგენლობა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების“ https://abc.vvsu.ru/books/buh_fin_otch_uk/page0009.asp
20. სტატია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენის შესახებ https://www.audit-it.ru/terms/accounting/statement_of_cash_flows.html
21. ე.ვ. ბროილო, „ფინანსური ანგარიშგების ანალიზი“ 2012 წ. <http://62.182.30.44/ft/301-000239.pdf>
22. ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები <http://www.auditgroup.ge/page.php?id=44>